განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ავტორიზაციის საბოლოო დასკვნა

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

**თავმჯდომარე:** პროფესორი მაირი სკოტი, დანდის უნივერსიტეტის სამედიცინო განათლების ცენტრი, გაერთიანებული სამეფო.

**თანათავმჯდომარე:** პროფესორი მიჰაი ბოროში, ქირურგიული კვლევის ინსტიტუტი, ზეგედის უნივერსიტეტი, უნგრეთი.

**წევრები:**დოქტორი მაია ზარნაძე, პეტრე შოთაძის სახელობის თბილისის სამედიცინო აკადემია, საქართველო.

დოქტორი ირაკლი გაგუა - დამსაქმებელი ექსპერტი, გაგუას კლინიკა, საქართველო.

დავით მაკასარაშვილი - სტუდენტი ექსპერტი, თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი, საქართველო.

თბილისი
2021 წლის 25 ივნისი

## ავტორიზაციის დასკვნის რეზიუმე

### ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი დაარსდა 2019 წელს, ისეთი საერთაშორისო უნივერსიტეტის შექმნის მიზნით, რომელიც უზრუნველყოფდა საქართველოში ხელმისაწვდომი, მაღალი ხარისხის პროფესიონალური სამედიცინო განათლების მიწოდებას ადგილობრივი ქართველი სტუდენტებისათვის, საერთაშორისო სტუდენტებთან ერთად.

დაწესებულებას სახელი დაერქვა პროფესორ კენ ვოლკერის - ემორის უნივერსიტეტის მედიცინის, ნევროლოგიისა და გლობალური ჯანმრთელობის სკოლის პროფესორის, საქართველოს საპატიო მოქალაქის, საქართველოს უდიდეს მეგობრის საპატივცემულოდ, ხოლო ემორის უნივერსიტეტი, რომელსაც აქვს გამოცდილება და კომპეტენტურობა სამედიცინო განათლების სფეროში, დათანხმდა შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტთან თანამშრომლობაზე. ემორის უნივერსიტეტს აქვს ჯანდაცვის სფეროს განათლებასა და კვლევაში მაღალი რეპუტაცია და არის ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის "პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" (PfID) პარტნიორი, რომელმაც განახორციელა უამრავი სამედიცინო საგანმანათლებლო პროექტი საქართველოში.

კვსუ და და ემორის უნივერსიტეტი შეთანხმდნენ თანამშრომლობაზე, რომელიც მოიცავს ერთობლივ საგანმანათლებლო და სასწავლო პროგრამებს/სასწავლო კურსებს, საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასებას, სწავლების ახალ მეთოდებში დახმარებას, კერძოდ ინტეგრირებულ დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაში, კლინიკური როტაციების და გაცვლითი პროგრამების შესაძლებლობებს აშშ-ში პერსონალისა და სტუდენტებისათვის.

კვსუ მტკიცედ იცავს პროფესორ კენ ვოლკერის მიერ დაწესებულ ღირებულებებსა და მაგალითებს, მაღალხარისხიან სამედიცინო მომსახურების შეთავაზებითა და  როგორც სამედიცინო განათლებაზე, ისე საზოგადოებრივ ჯანდაცვაზეაქცენტირებით, რადგან კვლევისა და განვითარების ძირითადი სფეროები უზრუნველყოფს ისეთკურსდამთავრებულებს, რომლებსაც შეეძლებათ მოემსახურონ როგორც პაციენტების, ისე მოსახლეობის საჭიროებებს.

შემუშავებული პირველი ორი პროგრამა არის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამები მედიცინასა და სტომატოლოგიაში.

### დაწესებულებაში განხორციელებული საავტორიზაციო ვიზიტის მოკლე მიმოხილვა

თვითშეფასების ანგარიში და მასთან დაკავშირებული დოკუმენტები გაეგზავნა ექსპერტთა ჯგუფს 28.05.21წ. ხოლო დამატებითი ვერსიები 31.05.21წ.  ჯგუფის თითოეულმა ექსპერტმა, საკუთარი კომპეტენციის შესაბამისად, შეარჩია 1 ან 2 სტანდარტი და გამოავლინა მზაობა, რომ შეესრულებინა წამყვანი როლი ამ სტანდარტების შესწავლაში.  მიუხედავად ამისა, ყველა წევრს ეთხოვა გადაეხედა ყველა დოკუმენტისათვის და შეერჩია შესასწავლი სფეროები ადგილზე ვიზიტის ყველა ასპექტისათვის, მაშინ, როცა ვადები იყო შეზღუდული.

საერთო ჯამში, როგორც ქართულ, ისე ინგლისურ ენაზე წარმოდგენილი დოკუმენტაცია იყო კარგად ორგანიზებული და ადვილად მიმოხილვადი. წარმოდგენილი იქნა თვითშეფასების ანგარიში, რომელმაც მოგვაწოდა გამოსადეგი ინფორმაცია კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის (კვსუ) განვითარების შესახებ დღემდე და მიმდინარე გეგმებზე განვითარების პროგრესის თაობაზე ავტორიზაციის მოპოვების შემდეგ.

ვიზიტის დროს, ჯგუფმა დაადგინა დოკუმენტების ჩამონათვალი, რომლებიც უზრუნველყოფდა დამატებით ინფორმაციას და ისინი მოწოდებულ იქნა მე-2 დღესვე, შეხვედრების დაწყებამდე.

გამოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტების სიაში იყო:

1. ემორის უნივერსიტეტთან  თანამშრომლობის მემორანდუმი.
2. რამე სახის დადარება, რომელიც განხორციელდაემორის უნივერსიტეტის კურუკულუმსა და კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის კურიკულუმს შორის.
3. ბაზრის ანალიზის ნებისმიერი კვლევა, რომელიც ჩატარდა კვსუ–ს შექმნამდე.
4. ყველა არსებული კითხვარი (მათი ნიმუში საკმარისი იქნებოდა იმ შემთხვევაში თუ არის 8-ზე მეტი).
5. საცდელი ავტორიზაციის ანგარიში.
6. საცდელი ავტორიზაციის შედეგად გატარებული აქტივობების მტკიცებულება.
7. ორ პროგრამას შორის ურთიერთკავშირის ვიზუალური წარმოდგენა (გადაფარვა, საერთო მოდულები, ფიზიკური შესაძლებლობების საკითხები და ა.შ.).
8. კლინიკური უნარების ცენტრის დეტალები - აღჭურვილობა (მაღალი და დაბალი სიზუსტის სიმულატორები),ფართის შესაძლებლობები, პერსონალი, კონკრეტული ბიუჯეტი და ა.შ.
9. კურსის კოორდინატორების სამუშაო აღწერილობის ნიმუში.
10. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა.
11. მეწილის შენატანის დამადასტურებელი საბუთი.

ადგილის მონახულება განხორციელდა 2021 წლის 8-9 ივნისს, ხოლო შემოწმება ჩატარდა დისტანციურად, Zoom-ის გამოყენებით. ადგილზე ვიზიტის დღის წესრიგი შეთანხმებული იყო ვიზიტის დაწყებამდე, რაც მოიცავდა შეხვედრებს შესაბამისი ჯგუფების წარმომადგენლებთან. ექსპერტთა ჯგუფის ყველა წევრმა დაუსვა შეკითხვები კუსუ-ს წარმომადგენლებს და საკუთარი წვლილი შეიტანა ვიზიტის ბოლოს კვსუ-სადმი მიცემულ არაფორმალურ უკუკავშირში.  ადგილზე ვიზიტი განხორციელდა მე-2 დღეს, რომელშიც  პირადად მონაწილეობდა ჯგუფის ყველა ადგილობრივი წევრი, ხოლო საერთაშორისო ჯგუფის წევრები მონაწილეობდნენ ცოცხალი ვიდეო ტრანსლიაციით მობილური ტელეფონებისა და Zoom-ის გამოყენებით.

**1-ლი დღე** - ჩატარდა საინტერვიუე შეხვედრები შემდეგჯგუფებთან: კვსუ-ს პარტნიორთა კრებასთან, რექტორთან და ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან, სტრატეგიის შემუშავების მენეჯერთან, ხარისხის უზრუნველყოფის ჯგუფთან, აკადემიურ საბჭოსთან, პროგრამების ხელმძღვანელებთან (როგორც დიპლომირებული მედიკოსის, ისე სტომატოლოგიის), აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან და დეკანთან.

**მე-2 დღე** - ჩატარდა საინტერვიუე შეხვედრები შემდეგჯგუფებთან: საერთაშორისო ურთიერთობების სამსახურთან, ადამიანური რესურსების სამსახურთან, სტუდენტური მომსახურებისა და დახმარების სამსახურთან, სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან, სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახურთან, ბიბლიოთეკასთან, IT მენეჯერთან და კანცელარიასთან, ფინანსურ მენეჯერთან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელთან და ბუღალტერთან. აქვე ჩატარდაონლაინ ბიბლიოთეკის პორტალისა და სწავლის მართვის სისტემის დემონსტრირება.

ინტერვიუების გარდა, ადგილობრივმა ჯგუფის წევრებმა დაათვალიერეს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის კამპუსი და იქ განთავსებული, სტუდენტებისათვის განკუთვნილი ყველა ობიექტი, მათ შორის სასწავლო ფართები, ლაბორატორიები, კლინიკური უნარების სიმულაციის ცენტრი და სტუდენტების სასადილო, დასვენებისა და სამეცადინო ადგილები.  გარდა ამისა, მათ მოინახულეს კენ ვოლკერის ჰოსპიტალი, სტომატოლოგიური კლინიკა "უნიდენტი", კვლევითი ცენტრი და ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრი.

ამის შემდეგ ჯგუფმა გამართა დახურული შეხვედრა სტანდარტების შესაჯამებლად, ჯგუფის ანგარიშის მოსამზადებლად და უნივერსიტეტის წარმომადგენლებისთვის მოკლე უკუკავშირის მისაწოდებლად.

დასკვნის პროექტი წარდგენილ იქნა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში 2021 წლის 25 ივნისს და კვსუ-ის არგუმენტირებული პოზიცია ექსპერტთა ჯგუფს დაუბრუნდა 29.06.2021. ექსპერტთა ჯგუფმა გაითვალისწინა კომენტარები, კერძოდ, 5.2., 6.1., 6.2., 6.3. სტანდარტებთან და მცირე ცვლილებები მე-7 სტანდარტთან მიმართებით და ამ კომენტარებზე უკუკავშირი მოცემულია დასკვნის შესაბამის სექციებში. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში საბოლოო დასკვნა წარდგენილ იქნა 2021 წლის 30 ივნისს.

## უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

დადასტურებულია, რომ კვსუ-ს განაცხადი ავტორიზაციისათვის შესაბამისობაშია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის სტანდარტებთან, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონთან და უმაღლესი განათლების მედიცინის სფეროს დარგობრივ მახასიათებელთან.

საერთო ჯამში, კვსუ–მ განიცადა კარგი პროგრესი ავტორიზაციის მისაღწევად და ანგარიში ასახავს ამას. არსებობს რამდენიმე სფერო, რომელიც საჭიროებს შემდგომ განხილვას, ასევე რამდენიმე რჩევა, რომელიც გასათვალისწინებელია პროგრესის მხარდასაჭერად და ასევე, გამოვლენილია კარგი პრაქტიკის ზოგიერთი სფერო.

## რეკომენდაციების შეჯამება

(2.1) უნდა გადაიხედოს აკადემიური საბჭოს როლის, უფლებამოსილებისა და პროცესების ამჟამინდელი სტრუქტურა, რათა დადგინდეს, არის თუ არა დაგეგმვა საკმარისად დეტალური, ხოლო მისი ფუნქცია, მიზანი და პროცესებიგასაგები და მიღწევადი იმგვარად, რომ ის იყოს ეფექტური მმართველი ორგანო უნივერსიტეტის ზრდასა და განვითარებასთან ერთად.

(6.1) საჭიროა კვლევის პროექტების განსახორციელებლად გარე დაფინანსების შესაძლებლობებზე ფოკუსირება და საგრანტო განაცხადებისა და საპროექტო წინადადებების მქონე აკადემიური პერსონალის საექსპერტო დახმარებითა და ტრენინგით უზრუნველყოფა.

(6.2) კვსუ–ს 2021-2027 წლების სტრატეგიულ გეგმაში ჩამოთვლილი ყველა დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებული საქმიანობის ეტაპობრივად შესრულება (დანართი 2 და დანართი 28 (კვლევის განვითარების სტრატეგიაში 2021-2027 წლებისთვის განსაზღვრული საქმიანობა), განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით კვლევითი ცენტრის განვითარების დაწყებაზე.

(6.2) მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებაზე, მეცნიერმეტრიის საშუალებით კვლევის შედეგების სისტემატური და რეგულარული მიმოხილვის შემუშავებით, რიცხობრივი დესკრიპტორების გამოყენებით, ნაცვლად "რბილი" თვისებრივი კრიტერიუმებისა.

(6.2) უნდა განხორციელდეს სქემები კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებისათვის, მაგალითად, სწავლების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით, რამაც თავის მხრივ შეიძლება მოიტანოს კვლევების განვითარება.

(6.2) კვლევითი საქმიანობის შეფასება უნდა ემყარებოდეს მეცნიერმეტრის რიცხვებსა და დადგენილ მაჩვენებლებს (მაგ., პირველი ან ბოლო ავტორობა Q1 ან Q2 პერიოდულ გამოცემებში, სტუდენტებთან თანაავტორობის რაოდენობა სამეცნიერო ნაშრომებში და ა.შ.). ხარისხის ხელშეწყობის მიზნით, უნდა განხორციელდეს ლიმიტების დადგენა მიღებული საერთო საფუძვლების თანახმად.

(6.3) მომავალ წლებში დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კვლევის შედეგების შეფასება, რადგან ამ ეტაპზე არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შესახებ.

## რჩევების შეჯამება

(1.2) გაფართოვდეს გამოკითხვები და თანამშრომლობა სხვადასხვა დამქირავებელთან, ექიმთა და სტომატოლოგთა პროფესიულ ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის სხვადასხვა გარემოში, რათა განისაზღვროს თუ როგორაა უმჯობესი თანამშრომლობითი პროექტების ერთობლივად შემუშავება სტუდენტების საზოგადოების აქტიურ წევრებად ქცევისთვის.

(2.1) სასურველია უნივერსიტეტმა გადახედოს კომიტეტის/საბჭოს ორგანოგრამას, რათა გაირკვეს, თუ როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან სხვადასხვა ჯგუფები, როგორც იერარქიული, ისე ოპერატიული თვალსაზრისით. შემდეგ ეს შეიძლება ფართოდ იქნეს გაზიარებული ყველა თანამშრომელთან და სტუდენტთან.

(2.1) მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგის მხარდასაჭერად, კვსუ-მ შეიძლება გამოიკვლიოს მისი ამჟამინდელი ურთიერთობა ემორის უნივერსიტეტთან, გამოავლინოს ამ ურთიერთობის წარმატების ძირითადი ფაქტორები და გამოიყენოს ისინი მომავალი საერთაშორისო პარტნიორების იდენტიფიცირებისა და მათზე "კარგად მორგებისათვის".

(2.2) კვსუ–ს ხარისხის კულტურის ქონის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს სტუდენტურ მასაში მისი ჩანერგვის გზები, რათა ყველა მათგანმა გააცნობიეროს თუ რა როლის შესრულება შეუძლიათ ამ ხარისხის კულტურის განვითარებასა და შენარჩუნებაში.

(2.2) მიზანშეწონილიაკვსუ-მ მოახდინოს საერთაშორისო ქვეყნების განსაზღვრული ჯგუფის იდენტიფიცირება, საიდანაც მიიღებენ სტუდენტებს, რათა ფოკუსირება მოახდინონ არა მხოლოდ მარკეტინგულ ძალისხმევაზე, არამედ ასევე შეძლონ იმ კურსდამთავრებულთათვის კარგად ინფორმირებული კარიერული არჩევანის შეთავაზება, რომლებიც აპირებენ დაბრუნდნენ სამუშაოდ მშობლიურ ქვეყნებში, რომლებთაგან ყველას ექნება განსხვავებული სალიცენზიო მოთხოვნები.

(2.3) სადისციპლინო კომიტეტში სტუდენტის ჩართულობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ აკადემიური საბჭოს სტუდენტი წევრი სადისციპლინო კომიტეტშიყოველთვის იყოს სხვა ფაკულტეტიდან.

(3.1) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ დებულების თანახმად, უნივერსიტეტს შეუძლია შეწყვიტოს აქტიური პროგრამა "ბოლო 4 წლის განმავლობაში სტუდენტების არყოფნის შემთხვევაში". ვინაიდან პროგრამის პირველი ფაზები შეიცავს მედიცინისა და სტომატოლოგიის კომპონენტებს, მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი ცალ-ცალკე და უფრო ზუსტი დარეგულირება; განისაზღვროს, რა მოხდება, თუ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში შემცირდება სტომატოლოგიის

ან მედიცინის პროგრამებზე აბიტურიენტების რაოდენობა. ასევე, განისაზღვროს რა რაოდენობას ეხება ეს შემცირება (ნულამდე?).

(3.2) ”საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, შეცვლის და შეწყვეტის წესი” განსაზღვრავს პროგრამის დაგეგმვის თითოეულ ეტაპს ბაზრის კვლევის/ საჭიროებების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ იყოს უაღრესად ეფექტური, მიზანშეწონილია ამ მონაცემების (შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზი) რეგულარული განახლება და გაზიარება.

(3.2) დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავება უზრუნველყოფს ახალი ცოდნის გავრცელებას ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაში.

(3.2) უსდ-ს როლი საზოგადოების განვითარებაში შესაძლებელია იყოს უფრო კონკრეტული.

(3.2) საჭიროა მეტი მონაცემები/ინფორმაცია უნარების ცენტრისა (და სიმულაციური მეთოდების) და კლინიკური/ჰოსპიტალური სისტემის ინტეგრირების შესახებ უსდ-ს მომავალ ცხოვრებაში.

(3.2) ფაკულტეტის (მედიცინისა და სტომატოლოგიის) ორგანიზაციული სტრუქტურა შესაძლოა უკეთესად იყოს წარმოდგენილი, რათა მოხდეს მისი ნაწილების ფუნციონირების, მათ შორის კავშირებისა და შესაძლო გადაფარვების უკეთ ვიზუალიზაცია.

(3.2) კურსში - „პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ (PPS) ჩასმული გარკვეული კომპონენტები შეიძლება თემატურად უფრო თავსებადი გახდეს საბოლოო სწავლის შედეგებთან (მაგ. კურსის - PPS 4–ის მე–5 კვირაში, „გადაუდებელი მედიცინა“ და „კარდიო-პულმონალური რეანიმაცია“ (CPR) ჩასმულია CV–ს მომზადებასა და პულმონალურ გამოცდებს შორის).

(3.2) მიზანშეწონილი იქნებოდა კლინიკურ მენტორად წარდგენის წესების, მისი კვალიფიკაციის დაზუსტება; დასაქმების პროცესში მიზანშეწონილი იქნებოდა კურსის კოორდინატორის ჩართვა.

(3.3) აკადემიური პერსონალი და საერთაშორისო პარტნიორი (ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჩართულები იყვნენ პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში; მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია უფრო მჭიდრო კავშირების ქონა შრომის ბაზრის შესაბამის კვლევასთან. (როგორც ეს მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში).

(3.3) სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ეხმარება დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას; მიუხედავად ამისა, რეკომენდებული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები (ელექტრონული ვერსიების გარდა, თუ ასეთები არსებობს) უნდა იყოს თანამედროვე (პროგრამა ახალია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში შესაბამისი რაოდენობით).

(3.3) გაუგებარია, როგორ იმოქმედებს / ირეაგირებს უსდ ახალი, ჰიპოთეტური პანდემიის გაჩენის შემთხვევაში. მიზანშწონილია, რომ შემუშავებულ იქნეს საგანმანათლებლო პროცესების ადაპტაციის მოქნილი გეგმა, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასება, ასეთი კრიზისით გამოწვეული სიტუაციების დროს.

(3.3) საფეხური 2, კლინიკური კომპონენტები; როდესაც სტუდენტები ასრულებენ როტაციებს კვსუ–ს აფილირებულ კლინიკებში, კომპეტენცია კონკრეტულ პროცედურებში, რომელიც მიიღწევა

პრაქტიკული სწავლებისდასრულების შემდეგ, შესაძლოა იყოს უფრო სრულყოფილად განსაზღვრული და უკეთ წარმოაჩენილი.

(3.3) მიზანშეწონილია, რომ კლინიკის ხელმძღვანელებს ეთხოვოთ მათი ყოველწლიური სასწავლო საქმიანობის თაობაზე ანგარიშების წარმოდგენა და მათი განხილვა აკადემიურ საბჭოზე.

(3.3) უნარების ცენტრი მოსალოდნელია რომ იქნება გამოყენებული ამოსავალ წერტილად პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და წონის გაზრდაში, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება.

(3.3) მიზანშეწონილია გრძელვადიანი, სტრატეგიული დაგეგმვა და ინვესტიციების ჩადება უფრო რთულ სიმულაციებში (მაგ. რეალობასთან მიახლოებული სცენარები პაციენტთა კომპიუტერიზებულ სიმულატორებზე, როგორიცაა ტრავმისა და ინტენსიური თერაპიის ერთეულის მანეკენები, მშობიაროობის სიმულატორები და ა.შ.) - მაღალი სიზუსტის სიმულაციური პროტოკოლები შეიძლება შეტანილ იქნეს მოგვიანებით, დიპლომისშემდგომ კურიკულუმში.

(4.1) პერსონალის მართვის პოლიტიკაში აღწერილი უნდა იყოს მკაფიო პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციასა და სამუშაო პროცესში მათ ეფექტიანად ჩართვას.

(4.2) კვსუ ამჟამად გეგმავს აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას 2026 წლისთვის, თუმცა საუკეთესო ხარისხის კადრების მოზიდვის მიზნით, მიზანშეწონილია, მან ეს პროცესი წინასწარ დაიწყოს.

(4.2) კვსუ–ს შემუშავებული აქვს დეტალური გეგმები პერსონალის აყვანის შესახებ, თუმცა მოქმედი პერსონალის რეკომენდაციებმა (რაც ვიზიტის დროს მოვისმინეთ) შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი დასაქმების პროცესს.

(5.2) თავდაპირველად, სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო სტუდენტთა დახმარების სისტემები რამოდენიმე წლის განმავლობაში დარჩება შედარებით "შეუმოწმებელი" და ადრეული გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემები იქნება მწირი. კვსუ-მ შეიძლება მოინდომოს ამისათვის სამიზნე ნიშნულების შესწორება, სანამ სტუდენტთა რიცხვი არ გაიზრდება.

(5.2)მიზანშეწონილია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში წინასწარ განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, რათა მომავალში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო დახმარებით.

(5.2) უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს უფრო დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ვებგვერდი წარმოაჩენს უნივერსიტეტის ყველა შესაძლებლობას და ადეკვატურ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს.

(6.1) თანამშრომლობა ემორის მედიცინის სკოლასთან ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე კვლევითი მიმართულებით მუშაობას. საჭიროა გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებით გაგრძელდება ძირითადი და / ან კლინიკური კვლევები (მაგ. ტოქსიკოლოგია, ნეირომეცნიერება, ნეიროქირურგია და ა.შ.) კვსუ-ში. ეს იძლევა საშუალებას კვლევითი და სწავლების საქმიანობის დასაკავშირებლად სწავლების დღის წესრიგში დაგეგმილი სამაგისტრო საქმიანობების დონეზე.

(6.1) სამეცნიერო ფონდებთან და ბიზნეს სექტორთან უფრო მეტი თანამშრომლობის განვითარება გააძლიერებს კონკრეტულ კვლევით საქმიანობას.

(6.2) მიზანშეწონილია, სტუდენტთა კვლევის სისტემის დანერგვა (სტუდენტური სამეცნიერო წრეების შექმნა) და აქტიური მხარდაჭერა, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოსა და პარტნიორი დაწესებულებების (ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ქსელის ჩამოყალიბებას.

(6.2) ინდივიდუალური სტუდენტებისა და სტუდენტური ასოციაციების სტიმულირება, მოტივაცია და დაჯილდოება უნდა განხორციელდეს, რათა განავითარონ ეს აქტივობები უსდ-ს ბაზაზე.

(6.2) კვლევის მხარდაჭერის კარგი საყრდენია თანადაფინანსების პოლიტიკა - დაწესებულება უზრუნველყოფს სახსრებს ყველა სახის კვლევითი პროექტებისთვის, თუ განაცხადის თანადაფინანსება ხდება სხვა ინსტიტუტების მიერ და ეს მნიშვნელოვნად გაზრდის პროექტების მასშტაბსა და მოცულობას, რომელთა მხარდაჭერაც შესაძლებელია.

(6.2) კვსუ-ს  შეუძლია ჩამოაყალიბოს სტუდენტთა პროექტში ჩართვის მოთხოვნა წარმატებული კვლევითი გრანტის დაფინანსების განაცხადებში. ეს მიდგომა ნამდვილად გაზრდის სამეცნიერო ნაყოფიერებას/ ხარისხს და ასევე უნივერსიტეტის "ხილვადობას".

(6.3) კვსუ–მ შეიძლება განიხილოს გზები, რათა უფრო მნიშვნელოვანი გახადოს სამეცნიერო საქმიანობა, ხოლო შედეგები უფრო მკაფიო ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა, კომიტეტი („სამეცნიერო საბჭო“), რომელიც სპეციალურად "მეცნიერებისა და კვლევისათვის" იქნება განკუთვნილი, რათა მოხდეს საკმაოდ ფრაგმენტული დაგეგმვისა და ადმინისტრაციული ამოცანების კოორდინაცია, უსდ-ში სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა.

(6.3) სამეცნიერო საქმიანობის ინიცირების, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების აღწერა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმში აღწერილი ელემენტები ან ხარისხობრივია, ან მეტად ზოგადი, ტერმინების ფართო გამოყენებით. უმჯობესი იქნებოდა ზუსტი განმარტებების ქონა და მეცნიერმეტრია, ციფრების მითითებით.

(6.3) სასარგებლო იქნებოდა სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება (ვებგვერდზე) მიმდინარე სამეცნიერო–კვლევით საქმიანობასა და გამოქვეყნებული მასალების ხარისხის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს მომავალი შედარებების გაკეთება.

(6.3) საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებაში პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა ფაკულტეტს შესაძლებლობას მისცემს გამოხატოს თავისი თავი უფრო ზუსტად,დაასაქმოს საუკეთესო პერსონალი და თანამშრომლები, ასევე მოიპოვოს ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსებები ამ აქტივობების მხარდასაჭერად.

(6.3) ბალანსი აკადემიური საბჭოს პასუხისმგებლობასა და ფაკულტეტის სამეცნიერო და პერსონალური განვითარების პროგრამების (მედიცინა და სტომატოლოგია) ხელმძღვანელობას შორის შეიძლება უფრო მკაფიოდ განისაზღვროს, კერძოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაიწყებენ პროგრამებში პროგრესირებას.

(6.3) კვლევის შედეგების მუდმივი და სისტემატური მონიტორინგი, ინოვაციის შესახებ წინადადებების ჩათვლით, პირველი წლების განმავლობაში გამოსადეგი იქნებოდა პროგრამის ხარისხისა და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდისათვის.

(7.1) შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სტუდენტებისთვის ცალკე კაფეტერიის შექმნის იდეის განხილვა.

(7.2) მიზანშეწონილია სილაბუსების ძირითადი სახელმძღვანელოების ბეჭდური ასლების რაოდენობის გაზრდა.

(7.2) მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია სწავლის მენეჯმენტის ახალ სისტემაზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კლინიკებში, მიზანშეწონილია იმის საჭიროების დადასტურება, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ყველა სასწავლო მასალასა და ელექტრონულ პორტფოლიოს ინფორმაციაზე.

(7.3) რადგანაც კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი აპირებს გამოიყენოს "Google Meet"-ი ონლაინ საკლასო ოთახებისათვის, მისი ტესტირება იმის სანახავად, თუ რამდენად კარგად ფუნქციონირებს სამედიცინო განათლების საკლასო ოთახებში სხვადასხვა ადგილზე განლაგებულნი ბევრი სტუდენტისათვის, ვერ მოხერხდა. გამოცდილი და შემოწმებული პლატფორმის (მაგ.Blackboard) გამოყენება სარეზერვო ვარიანტად შესაძლოა ღირდეს გასათვალისწინებელად, ონლაინ სწავლების ტექნოლოგიაშისაიმედოობისა და სტაბილურობის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

(7.4) მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სათანადო დაფინანსება არსებობს და ბიზნეს გეგმა ჩანს საიმედო, მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების განმახორციელებელი უნივერსიტეტები იქცა ჩვეულებრივ ამბად და ამიტომ კვსუ-მ მიზანშეწონილია განიხილოს მისი შემოსავლის დივერსიფიკაცია მედიცინისა და სტომატოლოგიის გარდა სხვა პროგრამების შემუშავებით.

## საუკეთესო პრაქტიკის შეჯამება

(1.2) სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიამ მიგვიყვანა ქმედებების ყოვლისმომცველ და მკაფიო სერიასთან, ვადებითა და პასუხისმგებლობებით და საპროექტო ხარჯებთან, რომლებიც გათვალისწინებულია დოკუმენტში. სამოქმედო გეგმის წყობახელს უწყობს მუდმივ ზედამხედველობასმმართველობაზეროგორც სტრატეგიულ, ისე ოპერატიულ დონეზე.

(2.1) ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან პარტნიორობა დაეფუძნა საერთო ღირებულებებს და ორმხრივ ვალდებულებას კვსუ-ს ხედვისა და მისიის მიღწევასა და რეალიზებაში. შედეგად, ორივე დაწესებულება იღებს სარგებელს ამ ურთიერთობიდან, კერძოდ, სტუდენტებისა და პერსონალის არჩევითი/გაცვლითი შესაძლებლობებით.

(2.2) მისასალმებელია განზრახვა, რომ "ხარისხის კულტურა" დაინერგოს მთელ დაწესებულებაში მკაფიოდ გამოცხადებული დეკლარაციით, რომ ყველა წევრი (პერსონალი და სტუდენტები) ჩართული იყოს ამ კულტურის შენარჩუნებასა და მიწოდებაში.

(3.1) როგორც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის, ისე სტომატოლოგიის პროგრამის ადრეულ წლებში დაკავშირება, კერძოდ PPS პროგრამის საშუალებით, არის საერთო სწავლის და ტრანსფერული უნარების განვითარების მნიშვნელობის კარგი მაგალითი, პროფესიული საზღვრების მიუხედავად.

(3.3) სისტემაში დანერგილია სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახური, რომელიც ზედამხედველობს სამედიცინო განათლებისა და მეთოდოლოგიის ინოვაციებს და ზრუნავს მათ დანერგვაზე უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით.

(3.3) დაგეგმილია სტუდენტის შეფასების შედეგების რეგულარულად განხილვა და ანალიზი და უნარების შეფასების განხორციელება EPA-ს (სანდო პროფესიული საქმიანობა) შესაბამისად, რომელიც პროგრამაში ხორციელდება როგორც საპილოტე, და იძლევა სწავლების ადრეულ ეტაპზე არსებული ხარვეზების გამოვლენის საშუალებას.

(5.2) ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო არჩევითების/როტაციების/ სტაჟირების გავლის შესაძლებლობები ემორის უნივერსიტეტში და მასთან აფილირებულ დაწესებულებებში არის სტუდენტური გამოცდილებისა და კარიერული შესაძლებლობების ამაღლების შესანიშნავი გზა.

(7.1) სტომატოლოგიის პროგრამაში თითოეული სტუდენტის უზრუნველყოფა ინდივიდუალური ბურის აპარატით (Boer Machine).

(7.3) სწავლის მართვისელექტრონული სისტემა, როგორც ჩანს, ძალიან კარგად შემუშავებული ვირტუალური ე.წ. "ერთი გაჩერების" პორტალია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ჰქონდეთ წვდომა საკუთარ მონაცემებზე, ასევე საგანმანათლებლო მასალებსა და საკომუნიკაციო ვარიანტებზე.

## შემაჯამებელი ცხრილი

| | სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ შეესაბამება მოთხოვნებს |
|---|---|---|---|---|---|
| 1. | **უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.1 | უსდ-ის მისია | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 1.2 | სტრატეგიული განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| **2.** | **უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.1 | ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 2.2 | ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 2.3 | ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3. | **საგანმანათლებლო პროგრამები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.1 | საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.2 | საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 3.3 | სწავლის შედეგების შეფასება | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4 | **უსდ-ის პერსონალი** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.1 | პერსონალის მართვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 4.2 | აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5 | **სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.1 | სტუდენტის სტატუსის მოპოვებისა და ცვლილების წესი, განათლების აღიარება და სტუდენტთა უფლებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 5.2 | სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 6 | **კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა** | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6.1 | კვლევითი საქმიანობა | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6.2 | კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 6.3 | კვლევითი საქმიანობის შეფასება | ☐ | ☒ | ☐ | ☐ |
| 7 | **მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები** | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.1 | მატერიალური რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.2 | საბიბლიოთეკო რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.3 | ინფორმაციული რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |
| 7.4 | ფინანსური რესურსები | ☒ | ☐ | ☐ | ☐ |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები



1. პროფესორი მეირი სკოტი (თავმჯდომარე);
2. პროფესორი მიჰალი ბოროში (თანათავმჯდომარე)

3. დოქ. მაია ზარნაძე (წევრი)

4. დოქ. ირაკლი გაგუა (წევრი)



5. დავით მაქასარაშვილი (წევრი)

# უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

## 1. უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება

უსდ-ის მისია განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლესი განათლების სივრცესა და საზოგადოებაში. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტრატეგიული განვითარების გეგმა შეესაბამება დაწესებულების მისიას, ეფუძნება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიზნებს და ასახავს მათი მიღწევის საშუალებებს.

| 1.1 უსდ-ის მისია |
|---|
| უსდ-ის მისია ითვალისწინებს საქართველოსა და ევროპის უმაღლესი განათლების ძირითად მიზნებს, განსაზღვრავს მის როლსა და ადგილს უმაღლეს საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში, ადგილობრივ და საერთაშორისო დონეზე. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მისიისა და ხედვის განაცხადები კარგადაა გადმოცემული და მკაფიოდ განსაზღვრავს უნივერსიტეტის გამოცხადებული ღირებულებების ხასიათსა და მიმართულებას. ისინი ცდილობს განავითაროს და მიაწოდოს მაღალი ხარისხის პროგრამები, რომლებიც არა მხოლოდ ინოვაციურია, არამედ ორიენტირებულია ისეთი კურსდამთავრებულების გამოშვებაზე, რომლებსაც ექნებათ ცოდნა, უნარ-ჩვევები და დამოკიდებულება, რომელიც მათ საშუალებას მისცემს უზრუნველყონ მაღალი ხარისხის ჯანდაცვა როგორც საქართველოში, ისე იმ ქვეყნებში, საიდანაც იქნებიან სტუდენტები მიღებული. ღირებულებების განაცხადი ასევე მიუთითებს თვისებებსა და შედეგებზე, რომლებიც ისინი ცდილობენ ჩანერგონ არა მხოლოდ სტუდენტებში, არამედ მთელ საუნივერსიტეტო საზოგადოებაშიც.<br><br>როგორც მისიის, ისე ხედვის განაცხადები აღწერენ უნივერსიტეტის ვალდებულებას საერთაშორისო ყურადღების მოპყრობაზე და აღწერენ ამბიციურ მიზანს: ”2007 წლისათვის გავხდეთ გლობალურად აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, ჯანდაცვისა და უმაღლესი განათლების სფეროში კონკურენტული და საიმედო პარტნიორის რეპუტაციით”, ასევე ნათლად აცხადებენ მათ ვალდებულებას, რომ იყვნენ ჩართულნი ფართო ქართულ საზოგადოებაში და სარგებელი მოუტანონ საქართველოს, როგორც ერს.<br><br>უნივერსიტეტის ხელმძღვანელებმა კარგად შეძლეს არა მხოლოდ მისიის და ხედვის აღწერა, არამედ კონტექსტუალიზებული მაგალითების მოყვანა, თუ როგორ ხდება მათი გამოყენება და განვითარება. გარდა ამისა, ბევრმა გამოკითხულმა თანამშრომელმა ასევე შეძლო ესაუბრა უნივერსიტეტის ღირებულებებთან და ხედვასთან საკუთარი კავშირის შესახებ. ზოგიერთი ამას უკავშირებს პროფესორ კენ ვოლკერის შთამბეჭდავ საქმიანობას საქართველოსა და ემორის უნივერსიტეტში და იმას, თუ როგორ იქნება კვსუ მისი საქმიანობის ამსახველი. |
| **მტკიცებულელებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• უნივერსიტეტის ვებ-საიტი;<br>• დანართი 1: მისიის, ღირებულებებისა და ხედვის დოკუმენტი;<br>• ინტერვიუები პარტნიორებთან და უფროს აღმასრულებელ ჯგუფთან;<br>• ინტერვიუ სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტთან; |

- ინტერვიუები აკადემიურ პერსონალთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

არ არის

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 1.2 სტრატეგიული განვითარება

- უსდ-ს აქვს სტრატეგიული განვითარების (7-წლიანი) და სამოქმედო (3-წლიანი) გეგმები.
- უსდ-ს წვლილი შეაქვს საზოგადოების განვითარებაში, უზიარებს საზოგადოებას დაწესებულებაში დაგროვებულ ცოდნას და ხელს უწყობს უწყვეტ განათლებას.
- უსდ ახორციელებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და სათანადოდ რეაგირებს მონიტორინგის შედეგებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

შპს კვსუ დაარსდა 2019 წელს და ურთიერთობამ, რომელიც დაიწყო პროფესორ კენ ვოლკერის ერთგულებით საქართველოს მიმართ და აქ ჩატარებულმა მუშაობამ განაპირობა ის, რომ მას საქართველოში ძალიან დიდ პატივს სცემენ. კვსუ-ს გამოხატული ღირებულებები, როგორც ასეთი, უკავშირდება მის მუშაობას და, შესაბამისად, პარტნიორობას ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, ატლანტას მედიცინის სკოლასთან, აშშ.

ემორის უნივერსიტეტი მსოფლიო უნივერსიტეტების რეიტინგში 2021 წელს 85-ე ადგილზეა, ხოლო სამედიცინო განათლების მხრივ - 42-ე ადგილზე. (https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/emory-university). კვსუ, ასევე, არის პარტნიორი ამერიკული არასამთავრობო ორგანიზაციის "პარტნიორები საერთაშორისო განვითარებისათვის" (PfID), რომელმაც მანამდე განახორციელა სამედიცინო განათლებისა და ტრენინგის მიმართულებით სხვადასხვა პროექტი საქართველოში.

ემორისთან თანამშრომლობით, კვსუ–მ დაადგინა განვითარების 7 მიმართულება:

1. ერთობლივი საგანმანათლებლო პროგრამების / სასწავლო კურსების შემუშავება.
2. აკადემიური პერსონალის ტრენინგი და პროფესიული გადამზადება.

3. საგანმანათლებლო პროგრამების გარე შეფასება.
4. სწავლების ახალი / თანამედროვე მეთოდების / მეთოდოლოგიის დანერგვა.
5. მაქსიმალური მხარდაჭერა თეორიული სწავლების კლინიკურ ასპექტებთან ინტეგრაციისათვის.
6. აშშ–ის კლინიკებში კლინიკური როტაციების ხელმისაწვდომობის გაფართოება / მხარდაჭერა.
7. გაცვლითი პროგრამების ორგანიზება არა მხოლოდ სტუდენტებისთვის, არამედ აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალისათვის.

7-წლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმისა და სამწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი აღწერილია თვითშეფასების ანგარიშში და დასტურდება როგორც 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმით, ისე 2021-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმით. ეს მოიცავდა შიდა საუნივერსიტეტო საორგანიზაციო კომიტეტის დაარსებას, რომელსაც ხელმძღვანელობდა უნივერსიტეტის რექტორი და რომელშიც მონაწილეობდნენ უნივერსიტეტის ყველა სტრუქტურის წარმომადგენლები და დაინტერესებული მხარეები, თუმცა ეს დეტალურად არ იქნა აღწერილი. ჩატარდა SWOT ანალიზი, რომელიც საფუძვლად დაედო კითხვარს მიმდინარე და სამომავლო საჭიროებების შესახებ.

ამან მოახდინა 6 სტრატეგიული მიმართულების იდენტიფიცირება, რის შემდეგაც შეიქმნა დეტალური სამოქმედო გეგმა, ეტაპობრივი მიწოდების მკაფიო ვადებით და დასახელდა პერსონალის წევრები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან ამ სფეროებში მიწოდებაზე:

1. უნივერსიტეტის ინსტიტუციური განვითარება.

2. უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია.

3. პერსონალის უფლებამოსილება.

4. უნივერსიტეტის კვლევითი აქტივობების გაძლიერება.

5. სწავლებისა და სწავლის პროცესის ხარისხის გაძლიერება.

6. მონაწილეობა სოციალურ აქტივობებში და სოციალური პასუხისმგებლობის გაძლიერება.

მათ, ასევე, შეიმუშავეს სტრატეგიული განვითარების შეფასების მონიტორინგის გეგმა, რომელიც იძლევა პროგრესის რეგულარული მონიტორინგის საშუალებას  და უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული ყოველწლიური მიმოხილვის დოკუმენტი, რომელიც დეტალურად აღწერს პროგრესს და გვთავაზობს გაუმჯობესებებს. გარდა ამისა, კვსუ აღწერს სოციალური პასუხისმგებლობის სტრატეგიას, რომელიც მოიცავს საქართველოს ადგილობრივ თემებთან ურთიერთობის გეგმას ცოდნის გაზიარების, სოციალური, კულტურული და გარემოსდაცვითი პროექტებისა და ჯანმრთელობის ხელშეწყობისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის ღონისძიებების მეშვეობით. სტუდენტებისა და პერსონალისგან მოსალოდნელი იქნება ამ პროექტების, ასევე კონკრეტული საგანმანათლებლო ღონისძიებების პრაქტიკულად ორგანიზება და მიწოდება, რომლებიც ღია იქნება საზოგადოებისთვის.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;

- უნივერსიტეტის ვებ-საიტი;
- დანართი 1; მისიის, ღირებულებებისა და ხედვის დოკუმენტი;
- დანართი 2; სამოქმედო გეგმა 2021-2023წწ.
- დანართი 2; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027წწ.
- თანამშრომლობის მემორანდუმი ემორის უნივერსიტეტთან;
- ემორის კურიკულუმის დადარება კვსუ-ს კურიკულუმთან;
- ბაზრის ანალიზის კვლევა, რომელიც ჩატარდა კვსუ–ს შექმნამდე;
- ინტერვიუები პარტნიორებთან და უფროს აღმასრულებელ ჯგუფთან;
- ინტერვიუ სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტთან;
- გასაუბრებები აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუები ადმინისტრაციულ პერსონალთან'
- https://www.timeshighereducation.com/world-university-rankings/emory-university

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- გაფართოვდეს გამოკითხვები და თანამშრომლობა სხვადასხვა დამქირავებელთან, ექიმთა და სტომატოლოგთა პროფესიულ ორგანიზაციებთან და ჯანდაცვის სხვადასხვა გარემოში, რათა განისაზღვროს თუ როგორაა უმჯობესი თანამშრომლობითი პროექტების ერთობლივად შემუშავებასტუდენტების საზოგადოების აქტიურ წევრებად ქცევისთვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- სამოქმედო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგიამ მიგვიყვანა ქმედებების ყოვლისმომცველ და მკაფიო სერიასთან, ვადებითა და პასუხისმგებლობებით და საპროექტო ხარჯებთან, რომლებიც გათვალისწინებულია დოკუმენტში.სამოქმედო გეგმის წყობახელს უწყობსმუდმივ ზედამხედველობას მმართველობაზე როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერატიულ დონეზე.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2. უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

### 2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

- უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.
- უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფენ დაწესებულების საქმიანობის ეფექტურ მართვას.
- უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კვსუ–მ შექმნა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც კვსუ–ს პარტნიორთა კრებას ათავსებს აკადემიური საბჭოს გვერდით, როგორც სტრატეგიული გეგმის შემუშავებაზე პასუხისმგებელ ყველაზე მაღალ ჯგუფებს. კვსუ-ს პარტნიორთა კრებას ცალსახად ევალება უზრუნველყოს "ეკონომიკურად სტაბილური და ორგანიზებული გარემო". ეს არის აგრეთვე ჯგუფი, რომელიც ნიშნავს აკადემიური საბჭოს მიერ რექტორად არჩეულ პირს და ამტკიცებს რექტორის მიერ დადგენილ უნივერსიტეტის ბიუჯეტს.აკადემიური საბჭო უმაღლესი წარმომადგენლობითი მმართველი ორგანოა. ექსპერტთა ჯგუფს განუცხადეს, რომ ამ ორგანოსათვის ასეთი მნიშვნელოვანი სტატუსის მინიჭება და ფუნქცია იმაში მდგომარეობს, რომ კვსუ მზად არის გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართოს ყველა თანამშრომელი, უშუალოდ (მათი მაღალი დონის კომიტეტებში ყოფნით), ან მათი წარმომადგენლების მეშვეობით. (პროცესი ზუსტადაა აღწერილია კვსუ-ს 2021-2023 წწ. სამოქმედო გეგმის მე-3 ნაწილში - პერსონალის უფლებამოსილება). აკადემიური საბჭო შედგება რექტორისაგან, ორი არჩეული აკადემიური წარმომადგენლისაგან უნივერსიტეტის თითოეული დეპარტამენტიდან, რომლებიც აირჩევიან ფარული კენჭისყრით 4 წლის ვადით. იგი ირჩევს საკუთარ თავმჯდომარეს ადმინისტრაციულ ხელმძღვანელად ხმების უმრავლესობით იგივე 4 წლის ვადით და ირჩევს რექტორს ანალოგიური პროცესის გამოყენებით.ყველა არჩევის / დანიშვნის პროცესი შეესაბამება კანდიდატების ხედვისა და გეგმებისადმი წინასწარ განსაზღვრულ მოთხოვნების აღიარებას და არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონმდებლობის შესაბამისი.

აკადემიურ საბჭოს და რექტორს აქვთ ფართო უფლებამოსილებები, რომლებიც კარგად არის დაფიქსირებული მარეგულირებელ დოკუმენტებში.აკადემიური საბჭოს რეგლამენტი აღწერს წევრობის, უფლებამოსილების, სხდომისა და გადაწყვეტილების მიღების წესებს და თავმჯდომარის როლს, თუმცა იგი მოიწვევა "საჭიროების შემთხვევაში, მაგრამ არანაკლებ წელიწადში ერთხელ". უფლებამოსილებების მოცულობიდან გამომდინარე, სავარაუდოდ, აკადემიურ საბჭოს, არსებული ფორმით, მოუწევს გაუმკლავდეს მზარდ დატვირთვას, რადგან კვსუ იწყებს სტუდენტების რეკრუტირებას და საერთაშორისო თანამშრომელობის განვითარებას. მაშინ, როცა საზიარო გადაწყვეტილების მიღების პოლიტიკა სასურველია, მიწოდების ლოჯისტიკამ, აკადემიურ საბჭოზე დაკისრებული ამოცანების მოცულობისა და მასშტაბის გაზრდამ, შესაძლოა გააძნელოს მისი შენარჩუნება. გარდა ამისა, მართალია, საზიარო გადაწყვეტილების მიღების პროცესის შექმნის კონცეფცია საყურადღებოა და ყველა დონეზე გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული სხვადასხვა ჯგუფის მოვალეობებისა და პასუხისმგებლობის შესახებ დოკუმენტაცია მკაფიოა, პერსონალის ჯგუფებთან ინტერვიუების დროს გამოაშკარავდა, რომ ჯერ არ იყო სრულად ჩამოყალიბებული საერთო გააზრება იმისა, თუ როგორ იმუშავებს ეს პრაქტიკაში. როგორც ასეთი, რეკომენდებულია სტრუქტურის ამ ელემენტის ისეთი გადახედვა, რომ განიმარტოს საქმისწარმოების ფუნქციონირების ლოჯისტიკა, ან გაიზარდოს წევრობა და/ან რესურსები დატვირთვის დასაძლევად.

თვითშეფასების ანგარიშში აღწერილია ადმინისტრაციის უფროსი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, რომლებიც ასევე მონაწილეობენ მმართველობაში შემდეგ სტრუქტურულ ერთეულებთან

ერთად - ადმინისტრაციული სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობების სამსახური, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახური, სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახური და ბიბლიოთეკა.გარდა კვსუ–ს ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისა, ფაკულტეტის დონის მმართველობითი უფლებამოსილების მქონე არის - ფაკულტეტის საბჭო და ფაკულტეტის დეკანი, სასწავლო პროცესის მართვის სამსახური, სტუდენტური მომსახურებისა და მხადაჭერის სამსახური, საგანმანათლებლო დეპარტამენტები, ხოლო რექტორს ეკისრება პასუხისმგებლობა როგორც საგანმანათლებლო, ისე სამეწარმეო საქმიანობაზე. მიუხედავად იმისა, რომ უნივერსიტეტის სტრუქტურის დიაგრამა (დანართი 4) აჩვენებს ამ ერთეულების ურთიერთდამოკიდებულებას, ეს არც ისე ნათელია ანგარიშვალდებულების მექანიზმების თვალსაზრისით; სხვადასხვა გუნდმა გასაუბრების დროს გამოავლინა მათი როლებისა და პასუხისმგებლობის დეტალებისა და მიმდინარე საანგარიშო პროცესების ცოდნა.დღეისათვის აღიარებულია, რომ ამჟამად სამსახურებში დასაქმებული პერსონალის რაოდენობა მცირეა, თუმცა დადასტურდა, რომ არსებობს პერსონალის რაოდენობის მნიშვნელოვანი ზრდის გეგმა, როდესაც კვსუ-ს მიერ რეკრუტირებული სტუდენტების რაოდენობა მიაღწევს 600-ს და დამყარდება ახალი საერთაშორისო პარტნიორობები. სამოქმედო გეგმაში მოცემულია ახალი პერსონალის მოზიდვისთვის აუცილებელი ნაბიჯები, მათ შორის, უცხოელი პერსონალის მოზიდვაც. ეს ნაბიჯები მოიცავს მოქმედების ვადებს/პროგრესს, მიწოდებაზე პასუხისმგებელ პირთა სახელებს და ამ სფეროსთან დაკავშირებული ბიუჯეტის განაწილებას.

კვსუ-ს 2021 წლის სამოქმედო გეგმაში ნათლად არის განსაზღვრული 2021-2027წწ. სტრატეგიული გეგმის შესასრულებლად საჭირო ღონისძიებები და ისინი ფართოდ არის დოკუმენტირებული ცხრილების ფორმატში, მკაფიოდ განსაზღვრული ამოცანებით, აქტივობებით, ინდიკატორებით, პასუხისმგებლობით, ფინანსებითა და ვადებით (2021-2023წწ.). დეტალების ეს დონე მნიშვნელოვად არწმუნებს ექსპერტთა ჯგუფს, რომ მისი პროგრამების განხორციელებასთან დაკავშირებით კვსუ–ს გააჩნია რეალისტური და შესრულებადი გეგმები.

გარდა ამისა, კვსუ–მ დაკვეთით შექმნა ციფრული პლატფორმა, რომლითაც შესაძლებელია არა მხოლოდ დოკუმენტის გაზიარება უნივერსიტეტში, არამედ დოკუმენტზე თვალყურის მიდევნებაც. ეს მნიშვნელოვნად უნდა დაეხმაროს საერთო დატვირთვის გაფართოების ფონზე. კვსუ–ს ასევე შემუშავებული აქვს ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა, რომელიც განსაზღვრავს პოტენციურ რისკებს, მათ შორის სტრატეგიულ, რეპუტაციულ, ოპერაციულ, ტექნოლოგიურ და ა.შ. და განსაზღვრავს კონკრეტულ მექანიზმებს შედეგების შერბილებისა და პროცესების შეუფერხებლად გაგრძელების უზრუნველსაყოფად.

ასევე, მოქმედებს მენეჯმენტის ეფექტური მონიტორინგისა და შეფასების დამატებითი სისტემა, რომელიც მიზნად ისახავს მენეჯმენტის პროცესების შეუფერხებლად განხორციელების ხელშეწყობას. ეფექტურობის მონიტორინგის ამ მექანიზმების და წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების გამოყენებით, კვსუ შეძლებს თვალყური ადევნოს მათი მიზნების მიღწევას და განსაზღვროს არსებული პრობლემები, შეიმუშაოს ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები გაუმჯობესების მიზნით და შემდეგ დანერგოს ძირითადი რეკომენდაციები მმართველობით პროცესებში. ასევე მომზადდება წლიური ანგარიში, რომელიც მოიცავს ყველა ამ საქმიანობასა და პროგრესს.

საერთო ჯამში, სხვადასხვა ადმინისტრაციულ და აკადემიურ ორგანოებს შორის სტრუქტურები და პასუხისმგებლობები კარგად არის განსაზღვრული და ხელს უწყობს უნივერსიტეტის სტრატეგიული მიზნების განხორციელებას. მთელი ინტერვიუირებული პერსონალი აშკარად აცნობიერებდა მათ პასუხისმგებლობასთან დაკავშირებულ პოლიტიკასა და პროცედურებს.

უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა აშკარად უჭერს მხარს ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგს, რადგან იგი კვსუ–ს სტრატეგიული ხედვის ერთ–ერთი მთავარი საყრდენია. სამოქმედო გეგმა მხარს უჭერს ნაბიჯებს, რომლებიც საჭიროა კვლევის, სწავლების, საერთაშორისო აღიარების და ინსტიტუციური განვითარების პრიორიტეტულობისათვის. ეს კარგადაა აღწერილი საერთაშორისო პოლიტიკისა და მექანიზმის მარეგულირებელ დოკუმენტში. ასევე აღიარებულია, რომ კვსუ უკვე იღებს სარგებელს ემორის უნივერსიტეტთან დამყარებული პარტნიორობით განვითარების მთელ რიგ დაგეგმილ სფეროებში. ეს სრულად იქნა დაფიქსირებული ემორის უნივერსიტეტსა და შპს კვსუ–ს შორის საგანმანათლებლო დახმარების ხელშეკრულებაში დიპლომირებული მედიკოსის პროგრამისათვის, რომელიც მოიცავს ურთიერთობის დეტალებს შემდეგი თვალსაზრისით:

1. მიზანი და სფერო.
2. ვადა და შეწყვეტა.
3. აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების ვიზიტი.
4. კლინიკური განათლება
5. ემორის მეთვალყურეობა.
6. კოორდინატორები. (კვსუ-ს აკადემიური საბჭოს ხელმძღვანელად და რექტორად ყოფნა).
7. კვლევა (მათ შორის ერთობლივი კვლევითი პროექტები)
8. ინტელექტუალური საკუთრება.

ეს დეტალები დადასტურდა ემორის უნივერსიტეტის წარმომადგენლებთან, მათ შორის კვსუ-ს პარტნიორთან, რომელიც არის ემორის უნივერსიტეტის უფროსი აკადემიური პერსონალი და აკადემიური საბჭოს ხელმძღვანელი, ასევე ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლის დეკანის თანაშემწე, დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის დეკანი და ხელმძღვანელი. გარდა ამისა, სამოქმედო გეგმა დოკუმენტურად ასახავს 2023 წელს ერთობლივი კვლევითი პროექტების შემუშავების ვალდებულებას და ამისათვის გამოყოფილია 50,000 ლარის ოდენობის ბიუჯეტი.

ამასთან ერთად, 2021-23 წლების სამოქმედო გეგმაში დეტალურად არის აღწერილი სხვა საერთაშორისო უნივერსიტეტებთან დამატებითი პარტნიორობის დამყარების გეგმა. უფროს აკადემიურ პერსონალთან დისკუსიისას, ყველა მათგანმა გამოხატა სხვა უნივერსიტეტებთან თანამშრომლობის სურვილი და სხვა მიდგომების აღწერა, რათა შესაძლებელი იყოს მომავალი პარტნიორების იდენტიფიცირება.ისინი ასევე აცნობიერებენ იმ რეალობას, რომ არსებობს გადაუდებელი აუცილებლობა კვსუ–ს, როგორც საიმედო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების რეპუტაციის დამკვიდრებისა, რისი მიღწევაც იმის გათვალისწინებით, რომ იგი ახალი დაწესებულებაა, სჭიროებს დროს. ეს აქტივობა ასევე შედის სამოქმედო გეგმის მე-2 ნაწილში: უნივერსიტეტის ინტერნაციონალიზაცია, 2022 წლის მესამე კვარტალში ჩასატარებელი მოცულობითი ღონისძიებების გრაფიკით, რომელიც თავდაპირველად პრიორიტეტს ანიჭებსკვსუ–ს, როგორც ცნობილი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ჩამოყალიბებას, რომელიც მოწოდებულია მის ღირებულებებზე დაფუძნებული განათლების მიწოდებაზე.ყველა ინტერვიუირებულმა თანამშრომელმა ენთუზიაზმით ისაუბრეს კვსუ-ს მიერ მათ წინაშე აღებული ვალდებულების შესახებ, რაც მისცემდა არა მარტო ინსტიტუციური საერთაშორისო პროფილის გაზრდის შესაძლებლობას, არამედ ასევე დაეხმარებოდა მათ ინდივიდუალურ კარიერულ წინსვლაში.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- დანართი 1; მისიის, ღირებულებებისა და ხედვის დოკუმენტი;
- დანართი 2; სამოქმედო გეგმა 2021-2023წწ.
- დანართი 2; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027წწ.

- დანართი 4; უნივერსიტეტის სტრუქტურა;
- დანართი 5; შპს კვსუ-ს წესდება;
- დანართი 5; მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დებულება;
- დანართი 5; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;
- დანართი 6; ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;
- დანართი 7; მენეჯმენტის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემები;
- დანართი 8; ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები;
- დანართი 9; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის შეფასება;
- საგანმანათლებლო დახმარების ხელშეკრულება ემორის უნივერსიტეტსა და შპს კვსუ-ს შორის;
- https://med.emory.edu/MDPHD/overview/faculty/executive_faculty/index.html
- http://directory.service.emory.edu/index.cfm?SearchString=archil+undilashvili&s=0
- https://open.library.emory.edu/profiles/aundila/
- ინტერვიუები პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

- უნდა გადაიხედოს აკადემიური საბჭოს როლის, უფლებამოსილებისა და პროცესების ამჟამინდელი სტრუქტურა, რათა დადგინდეს, არის თუ არა დაგეგმვა საკმარისად დეტალური, ხოლო მისი ფუნქცია, მიზანი და პროცესებიგასაგები და მიღწევადი იმგვარად, რომ ის იყოს ეფექტური მმართველი ორგანო უნივერსიტეტის ზრდასა და განვითარებასთან ერთად.

**რჩევები:**

- სასურველია უნივერსიტეტმა გადახედოს კომიტეტის/საბჭოს ორგანოგრამას, რათა აჩვენოს, თუ როგორ ურთიერთობენ ერთმანეთთან სხვადასხვა ჯგუფები, როგორც იერარქიული, ისე ოპერატიული თვალსაზრისით. შემდეგ ეს შეიძლება ფართოდ იქნეს გაზიარებული ყველა თანამშრომელისა და სტუდენტისათვის.
- მისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი ინტერნაციონალიზაციის დღის წესრიგის მხარდასაჭერად, კვსუ-მ შეიძლება გამოიკვლიოს მისი ამჟამინდელი ურთიერთობა ემორის უნივერსიტეტთან, გამოავლინოს ამ ურთიერთობის წარმატების ძირითადი ფაქტორები და გამოიყენოს ისინი მომავალი საერთაშორისო პარტნიორების იდენტიფიცირებისა და მათზე "კარგად მორგებისათვის".

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- ემორის უნივერსიტეტის მედიცინის სკოლასთან პარტნიორობა დაეფუძნა საერთო ღირებულებებს და ორმხრივ ვალდებულებას კვსუ-ს ხედვისა და მისიის მიღწევასა და რეალიზებაში. შედეგად, ორივე დაწესებულება იღებს სარგებელს ამ ურთიერთობიდან, კერძოდ, სტუდენტებისა და პერსონალის არჩევითი/გაცვლითი შესაძლებლობებით.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. დაწესებულების ხელმძღვანელობა უწყვეტად მუშაობს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.

- დაწესებულებას აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს შესაძლებლობას, მიიღოს მაღალი ხარისხის განათლება.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კვსუ აღწერს ხარისხის ყოვლისმომცველ კულტურას, როგორც დაწესებულების ღირებულებების ძირითად ნაწილს. ეს უნდა იქნას გაცნობიერებული დაამოქმედებული, მთელი პერსონალისა და სტუდენტების მიერ ყველა საქმიანობასა და შედეგში.ამ ნაწილში კარგად არის აღწერილი მთელი რიგი ღონისძიებები, რომლებიც ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, რომელიც, როგორც ჩანს, სათანადოდაა უზრუნველყოფილი აღჭურვილობითა და რესურსებით ამ სამუშაოს შესასრულებლად, რაც დასტურდება ექსპერტთა ჯგუფისათვის წარდგენილი კარგად გაწერილი და დეტალური დოკუმენტებით. მათი საქმიანობა მოიცავს PDCA–ს ციკლზე დაფუძნებული პროცესების, მრავალი გამოკითხვისა და რუტინული აქტივობის შეფასების, პერსონალისა და სტუდენტებისთვის თვითშეფასების პროცესებისა და მუშაობის მიმოხილვის, წლიური ანგარიშების მონაცემების დეტალური ანალიზიდან დაწყებული (შექმნილი სასწავლო მენეჯმენტის სისტემაში), სტრუქტურული ერთეულების და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მსვლელობის მონიტორინგით დამთავრებული. ეს პროცესები მოიცავს საქმიანობის ყველა სფეროს და გავლენას ახდენს კვსუ–ს ფარგლებში მიღებულ ყველა გადაწყვეტილებაზე.

"ხარისხის კულტურის" ქონის შესახებ ხედვა გამოკვლეულ იქნა პერსონალის სხვადასხვა ინტერვიუირებულ ჯგუფში. ყველას ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ეს იყო მთავარი პრიორიტეტი კვსუ-სთვის და რომ მათ ამის მიღწევაში უნდა მიეღოთ მონაწილეობა. მნიშვნელოვანი იქნება იმის უზრუნველყოფა, რომ როდესაც სტუდენტები ჩამოვლენ, მათ ასევე უნდა იცოდნენ, თუ რა როლი უნდა შეასრულონ ხარისხის კულტურის შენარჩუნებაში. ამის მიღწევის საუკეთესო გზა არის მათი ჩართვა ყველა შესაბამის პროცესში, ასევე მათ პრობლემებზე რეაგირება და გამოხმაურების დროული და ეფექტიანი უზრუნველყოფა.გეგმები არსებობს თუ ეს მოხდება, თუმცა სტუდენტების მოსვლამდე ამის დატესტვა შეუძლებელია.

იმის ალბათობის დადგენასთან დაკავშირებით, რომ ყველა სტუდენტი მიიღებს "ხარისხიან განათლებას" და რომ საგანმანათლებლო პროგრამები მდგრადია და ეფექტურად ხორციელდება, უნივერსიტეტმა განსაზღვრა სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა, რომელთა მიღებაც მას შეუძლია მთელი 6 წლის განმავლობაში.მათ შეიმუშავეს "სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია", რომელიც შექმნილია თითოეული პროგრამის უზრუნველსაყოფად მატერიალური და ადამიანური რესურსებით.იგი დეტალურად აღწერს რესურსების ინდიკატორების არსებით კომპონენტებს, პერსონალის სამიზნენიშნულებს: სტუდენტთა თანაფარდობა როგორც აკადემიურ, ასევე მოწვეულ პერსონალთან არ უნდა აღემატებოდეს 1/12-ს; თითოეულ პროგრამას უნდა ჰყავდეს მინიმუმ 4 პროფესორი ან ასოცირებული პროფესორი და ერთი აფილირებული ან ასოცირებული პროფესორი; ჰქონდეს მატერიალური, ინფორმაციული და ფინანსური რესურსები, საბიბლიოთეკო რესურსი და სხვა პირობები, როგორებიცაა საგანმანათლებლო პროგრამაზე მოთხოვნის კოეფიციენტი, სტუდენტთა გარიცხვის/გადასვლის თხოვნები, აკადემიური პროცესების მონიტორინგი და ანალიზი, კურსდამთავრებულთა დასაქმების დონე და დამსაქმებლის კმაყოფილება. ყველა ასპექტის მიღწევა ისაზღვრება სამიზნენიშნულებით და მონიტორინგი წარმოებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ, სხვა შესაბამისი სამსახურების ჩართვით 2021-23წწ. სამოქმედო გეგმის ფარგლებში. საბოლოო გადაწყვეტილებას სტუდენტების ჩარიცხვაზე იღებს აკადემიური საბჭო.

ჯერჯერობით კვსუ–ს ზუსტად არა აქვს გადაწყვეტილი თუ რომელი ქვეყნებიდან ჩამოვლენ საერთაშორისო სტუდენტები - ქართველი და საერთაშორისო სტუდენტების პროპორცია ან თანაფარდობა, ან რომელი ქვეყნები იქნება სტუდენტების რეკრუტირების პრიორიტეტული სამიზნე. ჯანდაცვის პროფესიონალი კურსდამთავრებულებისათვის მუშაობის ლიცენზიის გაცემის

| |
|---|
| საერთაშორისო რეგულაციების სირთულის გამო, უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებული ვალდებულება, ყველა სტუდენტი უზრუნველყოს კარიერული მეგზურობით - შესაძლოა ლოჯისტიკურად რთული. როგორც ასეთი, შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს დასაქმების ძირითადი ქვეყნების იდენტიფიცირება და მათზე კონცენტრირება, თავიდან მაინც. |
| **მტკიცებულელებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• უნივერსიტეტის ვებ-საიტი;<br>• დანართი 1; მისიის, ღირებულებებისა და ხედვის დოკუმენტი;<br>• დანართი 2; სამოქმედო გეგმა 2021-2023წწ.<br>• დანართი 2; სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027წწ.<br>• დანართი 4; უნივერსიტეტის სტრუქტურა;<br>• დანართი 5; შპს კვსუ-ს წესდება;<br>• დანართი 5; მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დებულება;<br>• დანართი 5; ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის დებულება;<br>• დანართი 6; ბიზნეს პროცესების უწყვეტობის გეგმა;<br>• დანართი 7; მენეჯმენტის ეფექტიანობის მონიტორინგის მექანიზმები და შეფასების სისტემები;<br>• დანართი 8; ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა და მექანიზმები;<br>• დანართი 9; ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები და ეფექტიანობის შეფასება;<br>• დანართი 10; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;<br>• დანართი 26; კარიერული მხარდაჭერის სამსახური;<br>• კითხვარების ნიმუში;<br>• ინტერვიუები პერსონალთან. |
| **რეკომენდაციები:**<br>არ არის |
| **რჩევები:**<br>• კვსუ–ს ხარისხის კულტურის ქონის ვალდებულებასთან დაკავშირებით, ჯგუფს მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ უნივერსიტეტმა გამოიკვლიოს სტუდენტურ მასაში მისი ჩანერგვის გზები, რათა ყველა მათგანმა გააცნობიეროს თუ რა როლის შესრულება შეუძლიათ ამ ხარისხის კულტურის განვითარებასა და შენარჩუნებაში.<br>• მიზანშეწონილია კვსუ-მ მოახდინოს საერთაშორისო ქვეყნების განსაზღვრული ჯგუფის იდენტიფიცირება, საიდანაც მიიღებენ სტუდენტებს, რათა ფოკუსირება მოახდინონ არა მხოლოდ მარკეტინგულ ძალისხმევაზე, არამედ ასევე შეძლონ იმ კურსდამთავრებულთათვის კარგად ინფორმირებული კარიერული არჩევანის შეთავაზება, რომლებიც აპირებენ დაბრუნდნენ სამუშაოდ მშობლიურ ქვეყნებში, რომლებთაგან ყველას ექნება განსხვავებული სალიცენზიო მოთხოვნები. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>• მისასალმებელია განზრახვა, რომ "ხარისხის კულტურა" დაინერგოს მთელ დაწესებულებაში მკაფიოდ გამოცხადებული დეკლარაციით, რომ ყველა წევრი (პერსონალი და სტუდენტები) ჩართული იყოს ამ კულტურის შენარჩუნებასა და მიწოდებაში. |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან |

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა**

- უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.
- უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.
- უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ-მ შეიმუშავა ეთიკის კოდექსი, რომელიც ადგენს საქმიანობასთან დაკავშირებულ ქცევის წესებსა და მოლოდინებს (როგორც უნივერსიტეტში, ისე მის გარეთ) და პროცედურებს, რომლებიც უნდა იქნას განხორციელებული კოდექსის დარღვევის შემთხვევაში. აღწერილია ამ ქმედებების სავარაუდო შედეგები, ისევე როგორც კოდექსის დარღვევაში ბრალდებულთა უფლებები. უნივერსიტეტმა შექმნა სადისციპლინო კომიტეტი, რომელიც შედგება რექტორის, ადმინისტრაციის უფროსისა და აკადემიური საბჭოს ერთი არჩეული წევრისგან (და თუ საქმე ეხება სტუდენტს, მაშინ დამატებით ჩართულია ერთი სტუდენტია, რომელიც არის ფაკულტეტის საბჭოს წევრი). სტუდენტთა წარმომადგენელი არის სხვა სკოლიდან თუ არსებობს ინტერესთა კონფლიქტი; წინააღმდეგ შემთხვევაში აკადემიური საბჭოს არჩეული სტუდენტი იქნება იგივე ფაკულტეტიდან. მიუხედავად ამისა, რადგან შესაძლოა ყოველთვის ძნელი იყოს "ინტერესთა კონფლიქტის" ხასიათის გარკვევა და იმის გამო, რომ მომავალში ამ ორ სტუდენტს შეიძლება მოუწიოს ერთად მუშაობა,მიზანშეწონილია, რომ სადისციპლინო კომიტეტში ყოველთვის იყოს აკადემიური საბჭოს წევრი სტუდენტი სხვა ფაკულტეტიდან.

ეთიკის კოდექსი საჯაროდაა ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ვებგვერდზე ყველა დაინტერესებული და ვალდებულიპირისათვის.

გარდა ამისა, კვსუ–ს ასევე აქვს უნივერსიტეტის შიდაგანაწესი, რომელიც უფრო ეხება სამუშაო პრაქტიკასა და პოტენციურ დისციპლინარულ პროცედურებს, როგორიცაა ხელშეკრულების დარღვევა, ჯანმრთელობისა და უსაფრთხოების დარღვევები და ა.შ., რომლებიც ეხება როგორც პერსონალს, ისე სტუდენტებს.

პლაგიატის გამოვლენის მექანიზმები ძალაშია, კერძოდ, კერძოდ კვსუ გეგმავს ციფრული ტექნოლოგიისა და პლაგიატის პროგრამული უზრუნველყოფის პროგრამის (https://plagiarismcheckerx.com/) გამოყენებას ორივე საგანმანათლებლო პროგრამისათვის პლაგიატის გამოსავლენად. ქმედებები, რომლებიც მოჰყვება კოდექსში ნებისმიერი დარღვევას პლაგიატთან დაკავშირებით, საკმაოდ მკაფიო და კარგად არის აღწერილი "პლაგიატის გამოვლენის, პრევენციის, მასზე რეაგირების პროცედურების და მექანიზმების" დოკუმენტში, როგორც სტუდენტების, ისე პერსონალის თვალსაჩინოებისათვის. ამასთან, განზრახულია მეტად აქცენტირება პლაგიატის პრევენციაზე სტუდენტების ადრეული ინფორმირებით აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების თაობაზე "პაციენტის, ექიმისა და საზოგადოების" პროგრამის მეშვეობით.ისინი აპირებენ ამის დაკავშირებას "აკადემიური კეთილსინდისიერების კამპანიის" საშუალებით, რომელიც მიზნადისახავს აკადემიური თავისუფლების, ორმხრივი პასუხისმგებლობისა და ანგარიშვალდებულების შესწავლას, რაც აუცილებელია აკადემიურ დაწესებულებების პერსონალისა და სტუდენტებისათვის წარმატების მისაღწევად.

| |
|---|
| კვსუ დოკუმენტურად ადგენს აკადემიური თავისუფლების პრინციპების დაცვას, რადგან ეს არის უნივერსიტეტის ცხრა ფუნდამენტური ღირებულებიდან ერთ-ერთი. ეს დოკუმენტურადაა ასახული მისიის, ღირებულებებისა და ხედვის განაცხადებში და კვსუ–ს წესდებაში, ხოლო აკადემიური პერსონალის ინტერვიუებისას, ყველამ იცოდა კვსუ–ს ვალდებულების შესახებ ამ ღირებულებების მიმართ.<br>…..<br>**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• შპს კვსუ-ს წესდება;<br>• დანართი 1; მისიის, ღირებულებებისა და ხედვის განაცხადები;<br>• დანართი 5; მედიცინისა და სტომატოლოგიის ფაკულტეტის დებულება;<br>• შპს კვსუ-ს პლაგიარიზმის გამოვლენა, პრევენცია, პლაგიარიზმი, შემთხვევაზე რეაგირების პროცედურების და მექანიზმების დოკუმენტი;<br>• კვსუ-ს ეთიკის კოდექსი;<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდი;<br>• ინტერვიუები პერსონალთან;<br>• https://plagiarismcheckerx.com/ |
| **რეკომენდაციები:**<br>არ არის |
| **რჩევები:**<br>• სადისციპლინო კომიტეტში სტუდენტის ჩართულობის შემთხვევაში, მიზანშეწონილია, რომ აკადემიური საბჭოს სტუდენტი წევრი სადისციპლინო კომიტეტში ყოველთვის იყოს სხვა ფაკულტეტიდან. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>არ არის |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 3. საგანმანათლებლო პროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 3.1 საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება |
|---|
| ○ უსდ-ს აქვს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, განხორციელებისა და განვითარების პოლიტიკა. |

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მედიცინისა და სტომატოლოგიის ერთსაფეხურიანი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვა და შემუშავება ხდებოდა თანამშრომლობის გზით. ამ პროცესებში მონაწილეობდა რამდენიმე მთავარი მხარე, მათ შორის იყვნენ თვითშეფასების ანგარიშის ავტორები და პროგრამების მომავალი ტრენერები. მონაწილეობითი პროცესი კოორდინირებული და რეგულირებული იყო; ამ თვალსაზრისით უამრავი მტკიცებულება იქნა მოწოდებული. ამ პროცესებში მონაწილეობდა საერთაშორისო პარტნიორი, რომელსაც გააჩნდა ფართო საგანმანათლებლო და ძლიერი კვლევითი გამოცდილება (ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტი, ატლანტა, აშშ). რეგულარულად ხდებოდა აზრთა გაცვლა დიზაინისა და განვითარების საკითხთან დაკავშირებით. ამ გზით შეიძლება შიდა, ინსტიტუციურ პერსპექტივებთან და სამომავლო გარე საჭიროებებთან შესაბამისობის უზრუნველყოფა. რაც შეეხება შემუშავებასა და განვითარებას, პროგრამა ახალია, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება დაარსდა 2019 წელს და, შესაბამისად, არ არსებობს შესრულების მონაცემები ან გამოხმაურების ანგარიშები განხორციელების ეტაპთან დაკავშირებით.

უსდ-ს განსაზღვრული აქვს სასწავლო გეგმის მოდელები და გამოყენებული სწავლების მეთოდები. პროგრამა (მედიცინისა და სტომატოლოგიის, ორივე) შესაბამისობაშია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპულ სისტემასთან (ECTS), ქართულ და საერთაშორისო სტანდარტებთან: იგი არა მხოლოდ ცოდნაზე, არამედ კომპეტენციაზეცაა დამყარებული. აკადემიური ხარისხის (დიპლომირებული მედიკოსი) მისაღებად მედიცინის პროგრამის სტუდენტმა უნდა მიიღოს 360 ECTS კრედიტი, ხოლო DDM-ის კვალიფიკაციის მოსაპოვებლად საჭიროა 300 ECTS კრედიტი. ექსპერტთა ჯგუფს არ შეუნიშნავს რაიმე მნიშვნელოვანი შეუსაბამობა განაწილებულ ECTS კრედიტებსა და სტუდენტთა რეალურ სამუშაო დატვირთვას შორის.

აკადემიური საბჭო უსდ-ის უმაღლესი მმართველი ორგანოა. აკადემიური საბჭო ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამებს და იღებს გადაწყვეტილებებს ცვლილებების განხორციელების ან გაუქმების შესახებ, ხოლო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (QAS) უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხს, მათ განხორციელებას და საერთაშორისო სტანდარტებთან შესაბამისობას. გათვალისწინებულია მთელი რიგი შესრულების მოქმედი ინდიკატორები და საგანმანათლებლო პროგრამები (მედიცინა და სტომატოლოგია, ორივე) მიმდინარეობს სამეცნიერო მეთოდის საყოველთაოდ მიღებული პრინციპების შესაბამისად; მთელ სასწავლო პროგრამებში ისწავლება მტკიცებულებებზე დაფუძნებული მედიცინა, ანალიტიკური და კრიტიკული აზროვნება, რაც სტუდენტებს საშუალებას აძლევს მონაწილეობა მიიღონ მათი პროფესიის მეცნიერულ განვითარებაში. გარდა ამისა, პროგრამებში შედის ქცევითი და სოციალური მეცნიერებებისა და სამედიცინო ეთიკის ნაწილი, რაც თეორიულად შესაძლებელს ხდის ეფექტურ კომუნიკაციასა და კლინიკური გადაწყვეტილებების მიღებას. როგორც ჩანს, გარანტირებულია სათანადო ინტეგრაცია საბაზისო სამედიცინო მეცნიერებებსა და კლინიკურ საგნებს შორის და ამ პროცესმა უნდა განავითაროს ჩარიცხული სტუდენტების უნარები, რათა მათ აიღონ შესაბამისი კლინიკური პასუხისმგებლობა პროგრამის დამთავრებისთანავე და გააგრძელონ პროფესიული განვითარება. მიუხედავად ამისა, ადრეული გაფრთხილების სახით აღვნიშნავთ, რომ აუცილებელია გარკვეული დამატებითი ოპერაციული კავშირის დამყარება საბაკალავრო და სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამებს შორის (სწავლებისა და პრაქტიკის შემდგომი ეტაპი, რომელზეც სტუდენტი გადავა სწავლის დასრულების შემდეგ) სწავლებისა და სწავლის უწყვეტი პროცესის ხელშესაწყობად.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- სასწავლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განხორციელების, შეცვლისა და შეწყვეტის წესი (დანართი 14);
- მედიცინისა და სტომატოლოგიის საგანმანათლებლო პროგრამები;

- გასაუბრება პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ დებულების თანახმად, უნივერსიტეტს შეუძლია შეწყვიტოს აქტიური პროგრამა „ბოლო 4 წლის განმავლობაში სტუდენტების არარსებობის შემთხვევაში“. ვინაიდან პროგრამის პირველი ფაზები შეიცავს მედიცინისა და სტომატოლოგიის კომპონენტებს, მნიშვნელოვანი იქნებოდა მათი ცალ-ცალკე და უფრო ზუსტი დარეგულირება; განისაზღვროს, რა მოხდება, თუ მომდევნო ოთხი წლის განმავლობაში შემცირდება სტომატოლოგიის ან მედიცინის პროგრამებზე აბიტურიენტების რაოდენობა. ასევე, განისაზღვროს რა რაოდენობას ეხება ეს შემცირება (ნულამდე?).

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

- როგორც დიპლომირებული მედიკოსის პროგრამის, ისე სტომატოლოგიის პროგრამის ადრეულ წლებში დაკავშირება, კერძოდ PPS პროგრამის საშუალებით, არის საერთო სწავლისა და ტრანსფერული უნარების განვითარების კარგი მაგალითი, პროფესიული საზღვრების არსებობის მიუხედავად.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია უმაღლესი განათლების საფეხურის დონესთან და მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმების მეშვეობით, უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების განსხვავებული მოთხოვნების, საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების გათვალისწინებას და მათ შეუფერხებელ ჩართულობას საგანმანათლებლო პროცესში.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ მიმდინარე შეფასება აფასებს გეგმებს და ეს გეგმები კარგად არის ფორმულირებული, ხოლო შესრულების ეფექტურობა ზუსტად შეფასდება შესრულების ინდიკატორებით, პროგრამის ამოქმედების შემდეგ. ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა, რომ მისაღები სტუდენტების რაოდენობა და სტუდენტთა/პედაგოგთა თანაფარდობა ადეკვატურად არის დაგეგმილი და ხელს შეუწყობს სასწავლო პროგრამის დაწყებას სწავლების შესაბამისი მეთოდებით. უსდ-ს განსაზღვრული აქვს კურსების შინაარსი, მასშტაბი და თანმიმდევრობა და აღწერილი აქვს კურიკულუმის სხვა ელემენტები, მათ შორის - ბალანსი ძირითად და არჩევით კონტენტს შორის. პროგრამის კომპონენტები ჰარმონიაშია დაწესებულების მისიის განაცხადთან და მიჰყვება ლოგიკურ თანმიმდევრობას. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს რამდენიმე სტანდარტულ და თანამედროვე მეთოდს და ტექნოლოგიას სწავლის შედეგების გაზომვისთვის. მთლიანობაში, სტრუქტურა მკაფიო და ნათელია, რაც აადვილებს ანალიზს. ზოგადად, სწავლის შედეგები მკაფიოდ და ლოგიკურად არის განაწილებული და შეესაბამება პროგრამების (როგორც მედიცინის, ისე სტომატოლოგიის პროგრამის) მიზანს, ხოლო მოთხოვნები კარგადაა განსაზღვრული და მეტწილად შეესაბამება მსგავსი უსდ-ების სწავლის შედეგებს.

სავალდებულო და არჩევითი კურსების სილაბუსები იძლევა მკაფიო ინფორმაციას პროგრამების და თითოეული კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტების შესახებ. საკონტაქტო საათების რაოდენობა, სწავლისა და სწავლების სხვადასხვა მეთოდის გათვალისწინებით, განსხვავდება და შეესაბამება კურსის/მოდულის/როტაციის შინაარსსა და სწავლის შედეგებს. მცირე ჯგუფები (10-12 სტუდენტი პრეკლინიკურ ეტაპზე, 4-6 კლინიკურ წლებში) გამოიყენება სტუდენტების ჩასართავად სწავლების სხვადასხვა ფორმაში, როგორიცაა: ინტერაქტიული ლექციები, სემინარები; კლინიკურ გარემოში სწავლება; იმიტირებული სცენარებისა და სტანდარტიზებული პაციენტების გამოყენება; როლური თამაში; ლაბორატორიული სწავლება. მთლიანობაში, სასწავლო გეგმის რუკა შეიცავს უამრავ ინფორმაციას სასწავლო კურსების შედეგებთან კავშირის შესახებ.გარდა ამისა, უსდ-მ წარმოადგინა ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების მეთოდოლოგია, სტუდენტის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების შესაბამისად. მაგალითად, სხვადასხვა დონის აკადემიური ტრენინგი სტუდენტებისთვის, რომლებიც ჩართულნი არიან შიდა და გარე მობილობაში.

უფრო კონკრეტულად, მედიცინის პროგრამის სასწავლო გეგმა ინტეგრირებულია, მას აქვს საგნების ვერტიკალური და ჰორიზონტალური ინტეგრაცია და ნერგავს კლინიკური უნარების განვითარებას სწავლების ადრეული ეტაპიდან, რასაც კიდევ უფრო მეტი დრო ეთმობა შემდეგ წლებში (განვითარება მიმდინარეობს 6 წლის განმავლობაში). სტომატოლოგიის პროგრამა ნაწილობრივ ინტეგრირებულია და ასევე ემყარება  სამედიცინო განათლების ხარისხის სტანდარტებს; გარდა ფუნდამენტური და ზოგადი კლინიკური პრინციპებისა, პროგრამა ემყარება სტომატოლოგიაში სპეციფიკური ეთიკური და პროფესიული ფასეულობების შემუშავებას. პრეკლინიკურ ეტაპზე, როგორც მედიცინის, ასევე სტომატოლოგიის პროგრამა შედგება მოდულებისგან ანატომიურ-ფუნქციური სისტემების მიხედვით. პარალელურად, სტუდენტები იძენენ საბაზისო ტექნიკურ/პრაქტიკულ უნარ-ჩვევებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სიმულაციის ცენტრში, რაც კურსის შემსწავლელთათვის არის აშკარა უპირატესობა და განსაკუთრებული შესაძლებლობა. მედიცინის პროგრამის პრეკლინიკური ეტაპი მოიცავს ფაზებს - „პრე-სამედიცინო/მომზადება“, „მედიცინის საფუძვლები“ (ჯანმრთელი ადამიანი, ადამიანის დაავადებები), ხოლო კლინიკური ეტაპი მოიცავს კომპონენტებს - „სამედიცინო მეცნიერებათა გამოყენება“, „აღმოჩენა“ და „ტრანზიცია“, შესაბამისად. აღმოჩენის ფაზა („კვლევა“ - 4 ECTS კრედიტი, „კვლევითი პროექტი“ - 6 ECTS კრედიტი) მოიცავს სტრუქტურირებულ დროს სტუდენტებისთვის, რომლებიც ატარებენ კვლევებს ძირითადი ან კლინიკური მედიცინის სხვადასხვა სფეროში, ჯანდაცვის ორგანიზაციაში ან მედიცინასთან დაკავშირებულ სხვა სფეროებში. ამ ფაზაში დაგეგმილია დიდაქტიკური და პრაქტიკული ნაწილები. პრეკლინიკურ ეტაპზე პროფესიონალიზმის განვითარებას უზრუნველყოფს კურსი - „პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ (PPS). რამდენად ეფექტურად გადიან სტუდენტები კლინიკურ/პრაქტიკულ მომზადებას პაციენტებთან, ეს ჯერ ბუნდოვანია, რადგან პროგრამას ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებულები ან საბოლოო ეტაპის სტუდენტები.

ორივე პროგრამაში გათვალისწინებულია ძლიერი და სტრუქტურირებული მხარდაჭერის სისტემა. თითოეულ კურსს ჰყავს კურსის მრჩეველი - მენტორი, კოორდინატორი, რომელიც ატარებს კონსულტაციებს აკადემიური და კარიერული განვითარების შესახებ, ასევე კლინიკური როტაციების ხელმძღვანელები. ასევე სათანადოა ხელმძღვანელებს, მენტორებსა და სტუდენტებს შორის არსებული კომუნიკაციის ფორმა და ინტენსივობა.

დიპლომირებული მედიკოსის პროგრამა შემუშავდა საერთაშორისო პარტნიორთან თანამშრომლობით. პროგრამის სტრატეგიული მიზანია მოამზადოს კომპეტენტური, მაღალკვალიფიციური ექიმები, რომლებიც არიან კონკურენტუნარიანი საერთაშორისო დონეზე და აქვთ ცოდნა, შესაძლებლობები და ქცევა, რაც საჭიროა სამაგისტრო პროგრამაზე სწავლისთვის. პროგრამის კიდევ ერთი მიზანია მაღალხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა ეფექტურ კომუნიკაციასთან ერთად, რომლის დროსაც გამოიყენება ინტერპერსონალური და პროფესიული

კომუნიკაციის უნარები (დარგობრივი კომპეტენციები: პაციენტთან კონსულტაციის ჩატარება). ამ მიზნით, პროგრამა ითვალისწინებს ქართული ენის შემსწავლელ კურსს, როგორც სავალდებულო კომპონენტს. მაგრამ იმის გათვალისწინებით, რომ სწავლების ენა არის ინგლისური, შემდეგ სემესტრებში შეიძლება საჭირო გახდეს უფრო მეტი აქცენტის გაკეთება სამედიცინო კომუნიკაციისა და მასთან დაკავშირებული სფეროების დამატებით სპეციალურ სასწავლო კურსებზე (როგორიცაა ეთიკის პრინციპები, ისტორიის გახსნა ან კომუნიკაცია საოჯახო მედიცინაში), რომლებიც ქართულ ენაზე განხორციელდება. ეს შეიძლება მოხდეს იმიტირებული პაციენტების დახმარებით ან დამატებითი (არჩევითი) სწავლის შესაძლებლობებით.

თვითშეფასების ანგარიშში მოცემულია მტკიცებულება, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება იყენებს ინდივიდუალური განათლების დაგეგმვას (IEP), რაც სტუდენტს ინდივიდუალური მიზნების მიღწევაში დაეხმარება. ინდივიდუალური განათლების დაგეგმვის (IEP) დროს განხორციელდება სტუდენტის სპეციფიკური შედეგები, შესრულების მიზნები, სწავლების მეთოდები, მასალები და განახლებული სტრატეგიები.

გუნდში მუშაობის დამადასტურებელი საბუთი და კონფლიქტების მართვა ასევე შედის კლინიკურ სასწავლო გეგმაში და პრაქტიკაზე დაფუძნებულ ასპექტებში. განისაზღვრა კლინიკური საგნების პრაქტიკული ნაწილები და, როგორც ჩანს, გარანტირებულია უფრო პირდაპირი წვდომა პაციენტის საწოლთან სწავლების კლინიკურ პრაქტიკაზე.

რომ შევაჯამოთ, ტრენინგის პროფესიული შინაარსი და სტრუქტურა, სწავლებისა და სწავლის გამოყენებული დამხმარე მეთოდები თანამედროვეა, აკმაყოფილებს პროფესიულ მოთხოვნებს და შესაფერისია სწავლის შედეგების მიღწევისთვის. ამასთან, მნიშვნელოვანია კიდევ ერთხელ აღვნიშნოთ, რომ არ არსებობს შესრულების შედარებითი მონაცემები. უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამებზე წვდომა, ის გამჭვირვალედ არის ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისათვის და გამოქვეყნებულია დაწესებულების ვებგვერდზე.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- დანართი 10; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დანართი 14; საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და ცვლილების წესი;
- დანართი 15; კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამა და სილაბუსები;
- დანართი 15; კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამა და სილაბუსები;
- კურსის კოორდინატორების სამუშაო აღწერილობის ნიმუში;
- გასაუბრება პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- ”საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარების, შეცვლისა და შეწყვეტის წესი” განსაზღვრავს პროგრამის დაგეგმვის თითოეულ ეტაპს ბაზრის კვლევის/საჭიროებების გათვალისწინებით. იმისათვის, რომ იყოს უაღრესად ეფექტური, მიზანშეწონილია ამ მონაცემების (შრომის ბაზრისა და დამსაქმებლის მოთხოვნების ანალიზის) რეგულარული განახლება და გაზიარება.
- დამსაქმებლებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან თანამშრომლობის გაღრმავება უზრუნველყოფს ახალი ცოდნის გავრცელებას ადგილობრივ და საერთაშორისო საზოგადოებაში.

- უსდ-ის როლი საზოგადოების განვითარებაში შესაძლებელია იყოს უფრო კონკრეტული.
- საჭიროა მეტი მონაცემები/ინფორმაცია უნარების ცენტრისა (და სიმულაციური მეთოდების) და კლინიკური/ჰოსპიტალური სისტემის ინტეგრირების შესახებ უსდ-ის მომავალ ცხოვრებაში.
- ფაკულტეტის(მედიცინისა და სტომატოლოგიის) ორგანიზაციული სტრუქტურაშესაძლოა უკეთესად იყოს წარმოდგენილი, რათა მოხდეს მისი ნაწილების ფუნციონირების, მათ შორის კავშირებისა და შესაძლო გადაფარვების უკეთ ვიზუალიზაცია.
- კურსში - „პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ (PPS) ჩასმული გარკვეული კომპონენტები შეიძლება თემატურად უფრო თავსებადი გახდეს საბოლოო სწავლის შედეგებთან (მაგ. კურსის - PPS 4–ის მე–5 კვირაში, „გადაუდებელი მედიცინა“ და „კარდიო-პულმონალური რეანიმაცია“ (CPR) ჩასმულია CV–ს მომზადებასა და პულმონალურ გამოცდებს შორის).
- მიზანშეწონილი იქნებოდა კლინიკურ მენტორად წარდგენის წესების, მისი კვალიფიკლაციის დაზუსტება; დასაქმების პროცესში მიზანშეწონილი იქნებოდა კურსის კოორდინატორის ჩართვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

### 3.3 სწავლის შედეგების შეფასება

- უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიცხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სილაბუსებში მოცემულია მკაფიო ინფორმაცია სავალდებულო და არჩევითი კურსების, კურსების შედგენისა და თითოეული კურსისათვის მინიჭებული ECTS კრედიტების შესახებ. სწავლის შედეგები აღწერს დამთავრებისთვის საჭირო მინიმალურ კომპეტენციებს. ძირითადად, ისინი შეესაბამება მოთხოვნებს, რომლებიც კარგად არის განსაზღვრული თვიშეფასების ანგარიშში და პროგრამის აღწერილობაში, ასევე მიკრო დონეზე (ლექციაზე/პრაქტიკულ სამუშაოზე და ა.შ.) და მეტწილად შეესაბამება მსგავსი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების სწავლის შედეგებს. ეს ყველაფერი შემუშავდა პარტნიორ დაწესებულებასთან (ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტთან) თანამშრომლობის შესაბამისად.

მეორე ეტაპში შედის კლინიკური კომპონენტები: სამედიცინო მეცნიერებათა გამოყენება, აღმოჩენის ფაზა და გარდამავალი ეტაპი, როდესაც სტუდენტები ასრულებენ როტაციებს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებულ კლინიკებში. კონკრეტული პროცედურების კომპეტენცია, რომელიც მიიღწევა პრაქტიკული ტრენინგის დასრულების შემდეგ, შესაძლოა უფრო

უკეთ იყოს წარმოჩენილი. გარკვეული კომპონენტები ჩამოთვლილია კურსებში „პაციენტი, ექიმი და საზოგადოება“ (როგორცაა, პირველადი სამედიცინო დახმარება, ტრავმის მართვა და კლინიკური უნარების განვითარება სამედიცინო მანეკენებზე), მაგრამ, როგორც ჩანს, ბევრი მათგანი არ არის დანართი 1-ში (მაგ., ჭრილობის ძირითადი მოვლა, ტრავმის პირველადი სამედიცინო დახმარების უზრუნველყოფა ამჟამინდელი სამედიცინო მითითებების შესაბამისად, გულ-ფილტვის რეანიმაციის გამოყენება და პირველადი სამედიცინო დახმარება ამჟამინდელი სამედიცინო მითითებების შესაბამისად).

სწავლის შედეგების შეფასების გეგმა აღწერს, თუ როგორ შეფასდება პროგრამის სწავლის შედეგები პროგრამის ბოლოს. პროგრამის ყველა აკადემიური კურსის შეფასების ფორმები და მეთოდები არის გამჭვირვალე და წინასწარ ხელმისაწვდომი. ინფორმაცია ხელმისაწვდომია ყველა კურსის სილაბუსებში.დაინერგა სტუდენტთა პორტფოლიო, სადაც ინდივიდუალური მიღწევები ჩაიწერება პირველი სემესტრიდან, რაც შესაძლებელს გახდის აკადემიური განვითარების თვითშეფასებას და პროგრესის გზების ძიებას.

სტუდენტების აკადემიური მოსწრების შესაფასებლად, პროგრამა იყენებს სწავლებისა და სწავლის ადეკვატურ მეთოდებს და შეფასების შესაბამის ტექნიკას, როგორიცაა OSPE, OSCE, გამოცდები იმიტირებულ პაციენტებთან. უფრო ზუსტად, სიმულატორები (დაბალი და მაღალტექნოლოგიური სიმულაციები, მანეკენები) ინტენსიურად გამოიყენება პროცედურული უნარების შეფასებისთვის, სიმულირებული პაციენტებისა და რეალური ცხოვრებისეული სცენარების (მოგვიანებით, კლინიკურ გარემოში) შესწავლისთვის გუნდური მუშაობის გზით, სიმულაციური დილემებისთვის და კლინიკური უნარების განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებებისთვისთვის. რამდენად ეფექტურად გადიან სტუდენტები კლინიკურ ტრენინგებს პაციენტებთან, ამ ეტაპზე გაურკვეველია. ამის მიუხედავად, არსებობს კარგი პრაქტიკის დამადასტურებელი საბუთები, დაგეგმილია „სამუშაო ადგილზე დაფუძნებული შეფასება“ (WPBA), რომელშიც შევა მინიმალური კლინიკური შეფასების სავარჯიშოები, პროცედურულ უნარებზე პირდაპირი დაკვირვება და შემთხვევაზე დაფუძნებული დისკუსიები კლინიკურ გარემოში. საკმარისად იქნა ნაჩვენები (ხელშეკრულებებთან ერთად) კლინიკური რეპეტიტორების რაოდენობა, მათი ენობრივი კომპეტენცია, ხელმძღვანელების შერჩევის კრიტერიუმები და კლინიკური საავადმყოფოების შესაძლებლობები.

უნარების ცენტრი უნდა იქნეს გამოყენებული ამოსავალ წერტილად პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და წონის გაზრდაში, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება. არსებული გარემო აკმაყოფილებს პრეკლინიკური კურსების მოთხოვნას და, როგორც ჩანს, შესაძლებელია სიმულაციური უნარების ტრენინგის დროს მიღებული პროცედურული ცოდნის ინტეგრირება არსებულ კლინიკურ კურიკულუმში, მაგრამ შესაძლებელია კლინიკურ საგნებში ტექნიკური ფონის შემდგომი განვითარება დიაგნოსტიკური და ტექნიკური/ინტერვენციული შესაძლებლობებით. უნარების განვითარების მიმართულებები ყოველთვის დამოკიდებულია ადგილობრივ ინტერესებსა და ტრადიციებზე, მაგრამ, როგორც წესი, მოიცავს შინაგან მედიცინას (ქვე-სპეციალობებით), ქირურგიას (ქვე-სპეციალობებით), ანესთეზიოლოგიას და ინტენსიურ თერაპიას, დიაგნოსტიკურ ვიზუალიზაციას, გადაუდებელ მედიცინას, ზოგად პრაქტიკას/საოჯახო მედიცინას, მეანობასა და გინეკოლოგიას, პედიატრიას და ა.შ.). აქ შემოთავაზებულია 2 მაგალითი (წინადადება), ამ სფეროების შემდეგი განვითარების გზების თაობაზე:

- ზოგადი ქირურგიის საფუძვლები, სტუდენტებისთვის ინდივიდუალური გასაკერი მოწყობილობისა და ინსტრუმენტების ნაკრებების უზრუნველყოფა და კომპიუტერული ტრენინგ პროგრამები, მაგ. ნაკერების დადება/მცირე ქირურგიული უნარები. მინიმალურად ინვაზიური ქირურგიის სადგურები და სიმულაციური ყუთების ტრენერები (მაგ. „მინიმალური წვდომის ტრენერები“ - ეს შეიძლება გამოყენებულ იქნეს როგორც კოგნიტური,

ასევე ტექნიკური უნარების სწავლებისა და შეფასებისთვის). ამ თვალსაზრისით, უნარების ცენტრს შეუძლია უზრუნველყოს სამედიცინო განათლება და პერსონალური უნარების გაღრმავება საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამებისა და უწყვეტი პროფესიული განვითარების ღონისძიებების საშუალებით.

- სამედიცინო გამოსახულების სიმულაცია დიაგნოსტიკური ულტრაბგერის გამოყენებით და პრე-კლინიკური უნარების შეძენა კონკრეტული ანატომიური ფანტომებითა და პროტოკოლებით.

რადგან თანამედროვე სიმულაციური ტექნოლოგიების გამოყენება მთავარი პრიორიტეტია, მნიშვნელოვანი იქნება პრაქტიკული პროცედურების შემუშავება, რომლებსაც სტუდენტები დაეუფლებიან სასწავლო პროგრამების ბოლოს კონკრეტული დისციპლინების (მედიცინა და სტომატოლოგია) დასრულებამდე. გარდა ამისა, აუცილებელი იქნება მათი შეფასება არა მხოლოდ იმიტირებულ, არამედ რეალურ კლინიკურ კონტექსტშიც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ თუ სწავლების ენა არის ინგლისური და გეგმების თანახმად, სტუდენტების უმეტესობა უცხო ქვეყნის მოქალაქე იქნება, ქართული ენის სათანადო ცოდნის ნაკლებობამ შეიძლება გამოიწვიოს სირთულეები ქართველ პაციენტებთან და მათ ნათესავებთან კომუნიკაციის დროს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუს შედეგები;
- დანართი 10; სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- დანართი 14; საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და ცვლილების წესი;
- დანართი 15; კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის მედიცინის პროგრამა და სილაბუსები;
- დანართი 15; კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სტომატოლოგიის პროგრამა და სილაბუსები;
- ემორის უნივერსიტეტის სასწავლო გეგმის შედარება კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სასწავლო გეგმასთან;
- ორ პროგრამას შორის ურთიერთკავშირის ვიზუალური წარმოდგენა (გადაფარვა, საერთო მოდულები, ფიზიკური შესაძლებლობების საკითხები და ა.შ.);
- კლინიკური უნარების ცენტრის დეტალები - აღჭურვილობა (მაღალი და დაბალი სიზუსტის სიმულატორები), ფართის შესაძლებლობები, პერსონალი, კონკრეტული ბიუჯეტი და ა.შ.
- ინტერვიუები პერსონალთან.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- აკადემიური პერსონალი და საერთაშორისო პარტნიორი (ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტი) ჩართულები იყვნენ პროგრამის დაგეგმვასა და შემუშავებაში; მიუხედავად ამისა, მიზანშეწონილია უფრო მჭიდრო კავშირების ქონა შრომის ბაზრის შესაბამის კვლევასთან. (როგორც ეს მითითებულია თვითშეფასების ანგარიშში).
- სილაბუსებში ჩამოთვლილი სასწავლო მასალა ეხმარება დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევას; მიუხედავად ამისა, რეკომენდებული ნაბეჭდი სახელმძღვანელოები (ელექტრონული ვერსიების გარდა, თუ ასეთები არსებობს) უნდა იყოს თანამედროვე (პროგრამა ახალია, ამიტომ მნიშვნელოვანია, რომ უახლესი გამოცემები ხელმისაწვდომი იყოს ბიბლიოთეკაში შესაბამისი რაოდენობით).
- გაუგებარია, როგორ იმოქმედებს/ირეაგირებს უსდ ახალი, ჰიპოთეტური პანდემიის გაჩენის შემთხვევაში. მიზანშწონილია, რომ შემუშავებულ იქნეს საგანმანათლებლო პროცესების ადაპტაციის მოქნილი გეგმა, მათ შორის სწავლის შედეგების შეფასება, ასეთი კრიზისით გამოწვეული სიტუაციების დროს.

- საფეხური 2, კლინიკური კომპონენტები; როდესაც სტუდენტები ასრულებენ როტაციებს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აფილირებულ კლინიკებში, კომპეტენცია კონკრეტულ პროცედურებში, რომელიც მიიღწევა პრაქტიკული სწავლების დასრულების შემდეგ, შესაძლოა უფრო უკეთ იყოს წარმოჩენილი.
- მიზანშეწონილია, რომ კლინიკის ხელმძღვანელებს დაევალოთ მათი ყოველწლიური სასწავლო საქმიანობის თაობაზე ანგარიშების წარმოდგენა და მათი განხილვა აკადემიურ საბჭოზე.
- უნარების ცენტრი მოსალოდნელია რომ იქნება გამოყენებული ამოსავალ წერტილად პრაქტიკული სწავლების ხარისხისა და წონის გაზრდაში, ამიტომ მიზანშეწონილია განვითარების მოკლევადიანი და გრძელვადიანი სტრატეგიების შემუშავება.
- მიზანშეწონილია გრძელვადიანი, სტრატეგიული დაგეგმვა და ინვესტიციების ჩადება უფრო რთულ სიმულაციებში (მაგ. რეალობასთან მიახლოებული სცენარები პაციენტთა კომპიუტერიზებულ სიმულატორებზე, როგორიცაა ტრავმისა და ინტენსიური თერაპიის ერთეულის მანეკენები, მშობიარობის სიმულატორები და ა.შ.) - მაღალი სიზუსტის სიმულაციური პროტოკოლები შეიძლება შეტანილ იქნეს მოგვიანებით, სამაგისტროს კურიკულუმში.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

- სისტემაში დანერგილია სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახური, რომელიც ზედამხედველობს სამედიცინო განათლებისა და მეთოდოლოგიის ინოვაციებს და ზრუნავს პროცესების განხორციელებაზე უნივერსიტეტის აკადემიური და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით.
- დაგეგმილია სტუდენტის შეფასების შედეგების რეგულარულად განხილვა და ანალიზი და უნარ-ჩვევების შეფასების შესრულება EPA-ს (სანდო პროფესიული საქმიანობა) მიხედვით, რომლის პილოტირებაც ხორციელდება პროგრამაში და იძლევა სწავლების ადრეულ ეტაპზე არსებული ხარვეზების გამოვლენის საშუალებას.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 4. უსდ-ის პერსონალი

უსდ უზრუნველყოფს, რომ დაწესებულებაში დასაქმებული პერსონალი (აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე) იყოსმაღალკვალიფიციური, რათა მათ შეძლონ საგანმანათლებლო, სამეცნიეროდა ადმინისტრაციული პროცესის ეფექტურად წარმართვა და დაწესებულების სტრატეგიული გეგმითგანსაზღვრული შედეგების მიღწევა. თავის მხრივ, დაწესებულება მუდმივად ზრუნავს პერსონალის პროფესიულ განვითარებასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებაზე.

### 4.1. პერსონალის მართვა

- უსდ-ს განსაზღვრული აქვს პერსონალის მართვის პოლიტიკადა პროცედურები, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროცესის და სტრატეგიული გეგმითგანსაზღვრული სხვა აქტივობების განხორციელებას.

- უსდ უზრუნველყოფს აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის პოზიციებზე სათანადო კვალიფიკაციის მქონე კადრების დასაქმებას.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც ფოკუსირებული იყო პერსონალის განვითარებაზე. ამ დოკუმენტის თანახმად, პერსონალის მართვის ზოგადი პრინციპებია: კორპორატიული პასუხისმგებლობა; თანამონაწილეობა; განვითარების ორიენტაცია; აკადემიური თავისუფლება; გუნდური მუშაობა. სხვადასხვა ჯგუფთან ჩატარებული ინტერვიუები ავლენს, რომ განვითარების ორიენტაცია არის ყველაზე მნიშვნელოვანი მიზეზი, რის გამოც პირებმა შეიძლება აირჩიონ კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი, როგორც სამუშაო ადგილი.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალი შედგება აკადემიური, მოწვეული, ადმინისტრაციული და დამხმარე თანამშრომლებისგან. პერსონალის აყვანის (არჩევის/დანიშვნის) წესები და პროცედურები ნათლად არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკაში. ეს წესები გამჭვირვალე და ობიექტურია და უნდა უზრუნველყოს კვალიფიციური თანამშრომლების მოზიდვა და დასაქმება. ინტერვიუები აკადემიურ, მოწვეულ და დამხმარე პერსონალთან ავლენს, რომ ეს წესები მოქმედებს.

უნივერსიტეტთან აფილირება გულისხმობს: აფილირებული პირის ვალდებულებას აწარმოოს თავისი ძირითადი კვლევითი და საგანმანათლებლო საქმიანობა იმ უსდ-ში, სადაც აქვს აფილირება; აფილირებული პირის მიერ ჩატარებული კვლევის შედეგები ითვლება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მიერ ჩატარებულ კვლევად; აფილირებული პირის ვალდებულებაა ზედამხედველობა გაუწიოს უსდ-ის სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. აფილირებული პერსონალი იცნობს ამ ვალდებულებებს. ამასთან, უნივერსიტეტს არ ჰყავს აფილირებული პერსონალის დიდი რაოდენობა და პროგრამების მდგრადობისთვის მნიშვნელოვანია ამ მაჩვენებლების გაზრდა. საგანმანათლებლო, კვლევით, შემოქმედებით, საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან გადაწყვეტილების მიღების პროცესში აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის მონაწილეობის პრინციპები, მაგალითად, ამ პერსონალის წარმომადგენლობა ფაკულტეტის საბჭოსა და წარმომადგენლობით საბჭოში;

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს ჰყავს განვითარებაზე ორიენტირებული, მოტივირებული პერსონალი და აქვს: პერსონალის პროფესიული განვითარების სტრატეგია, რათა მოახდინოს შესაბამისი ტრენინგების ორგანიზება უნივერსიტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საჭიროებებისათვის; საერთაშორისო მობილობის მხარდაჭერა; პროფესიონალური ტრენინგი; წარმატებული სპიკერების მოწვევა; აკადემიური და მოწვეული პერსონალის ტრენინგი კვლევისა და სწავლების მეთოდებში; განვითარებაზე ორიენტირებული სემინარების ორგანიზება საერთაშორისო ექსპერტის მონაწილეობით.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ანაზღაურებისა და წახალისების წინასწარ განსაზღვრული პრინციპები, რომლებშიც გათვალისწინებულია თანამშრომელთა მუშაობის შეფასების შედეგები (პერსონალი იცნობს ამ პრინციპებს);

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის საერთო რაოდენობაა 175, მათ შორის აკადემიური თანამშრომელი არის 55, აფილირებული აკადემიური პერსონალი - 5, სწავლებაში ჩართული საერთაშორისო აკადემიური სამეცნიერო პერსონალი - 7, კვლევაში ჩართული - 7.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის თანამშრომელთა შეფასება ემსახურება პერსონალის

მხარდაჭერას და მის განვითარებას უნივერსიტეტის წარმატების მისაღწევად. უნივერსიტეტი განასხვავებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასებას ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის შეფასებისგან. ინტერვიუს დროს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წევრებმა აღწერეს, თუ როგორ აპირებენ აქტიურად გამოიყენონ პერსონალის შეფასებისა და კმაყოფილების კვლევის შედეგები პერსონალის მართვისა და შემდგომი განვითარების პროცესში, როგორც ეს აღწერილია 2021-23 წლების სამოქმედო გეგმაში, პერსონალის მართვის პოლიტიკაში, კვლევის შეფასების წესებში და პერსონალის სამეცნიერო და აკადემიური საქმიანობის ამსახველ დოკუმენტებში.

დაწესებულების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვის მიზნით, უსდ აწესებს სამიზნე ნიშნულებს თანამშრომლებისა და მათ მიერ შესრულებული სამუშაოსათვის; ის ასევე მუდმივად ცდილობს სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესებას.

აკადემიური/სამეცნიერო/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალის საკვალიფიკაციო მოთხოვნები, მათი სამუშაო აღწერილობის, ფუნქციებისა და არსებული კანონმდებლობის გათვალისწინებით, ნათლად არის აღწერილი პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის კვალიფიკაციები შეესაბამება უსდ-ს საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დანართი 19; პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- დანართი 30; პერსონალის კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესები;
- სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- აკადემიური პერსონალის წევრობის პირობები და ვადები 48;
- კონკურსის დოკუმენტები;
- პერსონალის პირადი საქმეები;
- პერსონალის სტატისტიკა;
- შრომითი კონტრაქტის ნიმუშები;
- ბიუჯეტი;
- აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, რექტორთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- პერსონალის მართვის პოლიტიკაში აღწერილი უნდა იყოს მკაფიო პროცედურა, რომელიც უზრუნველყოფს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოში ინტეგრაციასა და სამუშაო პროცესში მათ ეფექტიანად ჩართვას.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**4.2. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის სამუშაო დატვირთვა**

- უსდ-ის აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა დაწესებულებაში განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების, სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობისა და მათზე დაკისრებული სხვა ფუნქციების ადეკვატურია.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის განსაზღვრის მეთოდოლოგია, რომლითაც განისაზღვრება აკადემიური საათების მინიმალური რაოდენობა და პერსონალის სემესტრული სასწავლო დატვირთვა. ამ მეთოდოლოგიაში არსებობს აკადემიური და მოწვეული პერსონალის დატვირთვის სქემა, რომლის განახლებაც ხდება ყოველ სემესტრში, მაგრამ რადგან პროგრამები არ დაწყებულა, ეს ჯერ კიდევ არ დასტურდება პრაქტიკაში. სქემა მოიცავს სწავლებას, სამეცნიერო/კვლევით/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა სახის სამუშაო დატვირთვას, აკადემიური პერსონალის ფუნქციებისა და მოვალეობების შესაბამისად. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა სტუდენტთა, მოწვეული და აკადემიური პერსონალის რაოდენობის დადგენისას შეიმუშავა სპეციალური კრიტერიუმები, რომლებიც მკაფიოდ არის აღწერილი სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგიაში.

უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებას შემუშავებული აქვს აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია. აკადემიური და სამეცნიერო პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებას, და კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო/სხვა საქმიანობებისა და მათთვის მიკუთვნებული ფუნქციების/მოვალეობების სათანადოდ შესრულებას. პროგრამის მდგრადობის უზრუნველსაყოფად, აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დაგეგმვისას, დაწესებულება ითვალისწინებს არსებული და მომავალი სტუდენტების რაოდენობას თითოეულ პროგრამაზე, პროგრამის სპეციფიკასა და საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს ამჟამად მხოლოდ 5 აფილირებული თანამშრომელი ჰყავს. აკადემიურ პერსონალსა და უსდ-ს შორის გაფორმებული შეთანხმების საფუძველზე, ისინი განსაზღვრავენ თავიანთ პირველად აფილირებას მხოლოდ ერთ დაწესებულებასთან. აფილირებული პერსონალის რაოდენობის თანაფარდობა სტუდენტთა რაოდენობასთან არის 5/0, სამიზნე ნიშნული კი - 30/600 2026 წლისთვის.

აფილირების ვადები და პირობები განსაზღვრულია უსდ-ს და აკადემიურ პერსონალს შორის გაფორმებულ ოფიციალურ ხელშეკრულებაში. მიუხედავად იმისა, რომ ავტორიზაციის მიღების შემდეგ იგეგმება კადრების აქტიური შევსება, ამჟამად მხოლოდ მცირე რაოდენობის პერსონალია დასაქმებული, განსაკუთრებით კი დიპლომირებული მედიკოსის პროგრამაზე. დასაქმებულებს აქვთ სათანადო კვალიფიკაცია და ინტერვიუს დროს გამოხატეს მზაობა, რომ უზრუნველყონ პროგრამების წარმატება.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი აცნობიერებს, რომ დასაქმება მისი პრიორიტეტული მიმართულებაა და ამის გაკეთებას გეგმავს ადამიანური რესურსების მართვის სამსახურის გაძლიერების გზით, როგორც ეს აღწერილია 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმაში. ეს მიმართულება უკვე დაწყებულია და ბიუჯეტიც გამოყოფილია. უსდ-მ ასევე შეიტანა რამდენიმე მიმზიდველი

პუნქტი პერსონალთან დასადებ კონტრაქტებში.ეს მოიცავს პერსონალის განვითარების მკაცრ ვალდებულებას როგორც დაწესებულების შიგნით, ისე გარეთ, განსაკუთრებით საერთაშორისო გაცვლის შესაძლებლობებს სწავლების გამოცდილებისა და კვლევისთვის. კერძოდ, უსდ-ს განზრახული აქვს თანამშრომლებს შესთავაზოს ემორის უნივერსიტეტში წასვლა პროფესიული განვითარების მიზნით. გარდა ამისა, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიმუშავა სახელფასო პოლიტიკა მრავალსაფეხურიანი ანაზღაურების სისტემის გამოყენებით. მომდევნო 5 წლის განმავლობაში პერსონალის ბიუჯეტი ყოველწლიურად გაიზრდება მინიმუმ 15%-ით და 2023 წლიდან ამოქმედდება ბონუსების სისტემა აკადემიურ მიღწევებისთვის.

უნივერსიტეტმა ნათლად უნდა განსაზღვროს სამიზნე ნიშნულები მისი პერსონალისათვის, რათა ეფექტურად განახორციელოს საგანმანათლებლო, კვლევითი, შემოქმედებითი და საშემსრულებლო აქტივობები. დაწესებულება ასევე მუშაობს სამიზნე ნიშნულების გაუმჯობესებაზე.

**მტკიცებულებები/ინდიკატორები**

- დანართი 2; სამოქმედო გეგმა 2021-2023წწ;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის პერსონალის მართვის პოლიტიკა;
- შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის აფილირების პირობები და ვადები;
- სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობის დადგენის მეთოდოლოგია;
- პერსონალის სამუშაო დატვირთვის დოკუმენტი. - პერსონალის რაოდენობის სტატისტიკური მაჩვენებლები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ აკადემიურ, მოწვეულ პერსონალთან, რექტორთან, ადამიანური რესურსების მართვის სამსახურთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი ამჟამად გეგმავს აფილირებული პერსონალის რაოდენობის გაზრდას 2026 წლისთვის, თუმცა საუკეთესო ხარისხის კადრების მოზიდვის მიზნით, მიზანშეწონილია, რომ მან ეს პროცესი წინასწარ დაიწყოს.
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს დეტალური გეგმები პერსონალის აყვანის შესახებ, თუმცა მოქმედი პერსონალის რეკომენდაციებმა (რაც ვიზიტის დროს მოვისმინეთ) შეიძლება მნიშვნელოვნად შეუწყოს ხელი დასაქმების პროცესს.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 5. სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები.

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული
 გარემოს შექმნას; სტუდენტებს სთავაზობს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად, უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

| 5.1. სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები |
|---|
| ○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები.<br>○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას. |
| **სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის აქვს სტუდენტის სტატუსის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების და განათლების აღიარების მკაფიოდ განსაზღვრული პროცედურები, რომლებიც აღწერილია უსდ-ის დებულებაში. წესები შეესაბამება „საქართველოს კანონს უმაღლესი განათლების შესახებ“ და დოკუმენტი საჯაროდ ხელმისაწვდომია ინგლისურად და ქართულად, უნივერსიტეტის ვებგვერდზე. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ვებგვერდზე ასევე იძლევა დეტალურ ინფორმაციას დაშვების პროცედურების შესახებ. გარდა ამისა, პროგრამის ადმინისტრაციულმა გუნდმა შეიმუშავა „სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის“, რომელიც მოიცავს ინფორმაციას სტუდენტის სტატუსის, უფლებების, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის რეგულაციების, ეთიკის კოდექსის, გასაჩივრების სისტემისა და სხვა საკითხების შესახებ.<br><br>უნივერსიტეტსა და სტუდენტებს შორის დადებული ხელშეკრულებების ნიმუშები უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და ინტერესების დაცვას. რადგან უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება ახლადდაარსებულია და არ ჰყავს აქტიური სტუდენტები და კურსდამთავრებულები, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ შეძლო შეეფასებინა დებულებაში აღწერილი პროცედურების მაგალითები, რომლებიც ეფექტურად განხორციელდა. ამასთან, ინტერვიუს შედეგებმა აჩვენა, რომ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავს იყოს სტუდენტზე ორიენტირებული, ხოლო სტუდენტების კანონიერი ინტერესების დაცვა უნივერსიტეტის საერთო კულტურის ნაწილია.<br><br>უნივერსიტეტს დადებული აქვს ხელშეკრულება ფსიქოთერაპიის ცენტრ „შპს კამარასთან“, რომელიც შესაბამისი საჭიროების მქონე სტუდენტებს მიაწვდის კვალიფიციური პროფესიონალების დახმარებას. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება;<br>• შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ეთიკის კოდექსი;<br>• უსდ-სა და სტუდენტს შორის დადებული ხელშეკრულებების ნიმუშები;<br>• უნივერსიტეტის ვებსაიტი;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:**<br>არ არის |
| **რჩევები:**<br>არ არის |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**<br>არ არის |

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**5.2 სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები**

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისთვის და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების ინფორმირებასა და ჩართულობას საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე მხარს უჭერს სტუდენტურ ინიციატივებს.
- უსდ-ში მოქმედებს დაბალი სოციალურ-ეკონომიკური სტატუსის მქონე სტუდენტების მხარდაჭერის მექანიზმები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში სტუდენტთა მხარდაჭერისა და კარიერული განვითარების სერვისების ფუნქციას ასრულებს სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახური. იგი იღებს პასუხისმგებლობას, რომ სტუდენტებს გაუწევს კონსულტაციას საგანმანათლებლო პროცესებისა და მათი აკადემიური მოსწრების, დასაქმების შესაძლებლობების, დასაქმებასთან დაკავშირებული უნარების განვითარებისა და მათი ინიციატივების მხარდაჭერის შესახებ. ამ პროცესში ჩართულები არიან დეკანის ოფისი და პროგრამის ხელმძღვანელები, რომლებიც მზად არიან დაეხმარონ სტუდენტებს სწავლის ეფექტურად მართვაში პირისპირ კომუნიკაციის გზით.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აპირებს ჩაატაროს ინდუქციური კვირეული ახლად ჩარიცხული სტუდენტებისთვის, რაც მოიცავს საორიენტაციო შეხვედრებს ფაკულტეტებთან, მოწვეულ პერსონალთან, სტუდენტურ მომსახურებებთან, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან, ადმინისტრაციასთან და სტუდენტურ ორგანიზაციებთან, „თეთრი პალტოს ცერემონიალს“, უცხოელი სტუდენტებისთვის ქალაქის დათვალიერებას და ა.შ. ამ ეტაპზე სტუდენტები გაეცნობიან სასწავლო პროცესების ადმინისტრირების სპეციფიკას და დაწესებულების რეგულაციებს. ეს მათ დაეხმარება უნივერსიტეტის კულტურასთან ინტეგრაციაში. სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახურში დასაქმდებიან კურსის კოორდინატორები. პროგრამების დებულებებში ნათქვამია, რომ თითოეული კოორდინატორი პასუხისმგებელი იქნება საშუალოდ 50 სტუდენტის დახმარებაზე. ისინი სემესტრში ჩაატარებენ ორ დაგეგმილ შეხვედრას, რათა პირადად გაეცნონ თითოეულ სტუდენტს და უზრუნველყონ ინდივიდუალური დახმარება. მათი მოვალეობები ასევე მოიცავს კარიერულ განვითარებაში და სამაგისტრო პროგრამებზე სწავლებაში დახმარებას, პროფესიული CV-ების და სამოტივაციო წერილების მომზადების სასწავლო კურსების შეთავაზებას და ამერიკის წარმომადგენლებთან შეხვედრების ორგანიზებას. ამ შეხვედრების მიზანი იქნება სტუდენტების მომზადება სტაჟირების პროცედურებისთვის, დოკუმენტაცია და ორგანიზაციული საკითხები, ასევე რეალური მოლოდინების დასახვა.

სტუდენტური სერვისებისა და მხარდაჭერის სამსახური გეგმავს სტუდენტთა მონაცემთა ბაზის შექმნას მათთვის დასაქმების შესაძლებლობების შესაქმნელად და პოტენციური დამსაქმებლებისთვის მათი კანდიდატურის შეთავაზების მიზნით. ამასთან, რადგან სტუდენტები ჩამოვლენ მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან და ალბათ ყველა მათგანს არ სურს გააგრძელოს კარიერა შეერთებულ შტატებში

ან საქართველოში, ნათლად არ ჩანს, როგორ მოახდენს სამსახური ინდივიდუალურ სტუდენტებზე მორგებული კარიერული დახმარების უზრუნველყოფას. ინტერვიუების თანახმად, უსდ-ის წარმომადგენლები გეგმავენ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პოტენციური პარტნიორების გაზრდას აშშ-ს გარეთ, მას შემდეგ რაც დაწესებულება გაივლის ავტორიზაციას და მიიღებს სტუდენტთა პირველ ჯგუფს.

აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს წინასწარ განსაზღვრული აქვთ 2 საათი სტუდენტების დასახმარებლად. ეს შეიძლება გაკეთდეს როგორც ინტერნეტით, ასევე პირისპირ კომუნიკაციის საშუალებით. ამასთან, აღსანიშნავია, რომ, როგორც ინტერვიუებმა აჩვენა, ყველა თანამშრომელმა არ იცოდა საკონსულტაციო საათების არსებობის შესახებ. უნივერსიტეტის ადმინისტრაციას ვურჩევთ, ხელი შეუწყოს ფაკულტეტის წევრებს, რომ მომავალში პერსონალურად დაეხმარონ სტუდენტებს და აცნობონ წინასწარ განსაზღვრული საათების შესახებ.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი გეგმავს საერთაშორისო მობილობის შესაძლებლობის შექმნას, ძირითადად აშშ-ში. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და ემორის უნივერსიტეტს შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის თანახმად, პროფესორ-მასწავლებლებს და სტუდენტებს შეუძლიათ ეწვიონ ემორს კლინიკურ დამკვირვებლებად 2 კვირიდან 6 თვემდე პერიოდით. თანამშრომლობა ასევე შეიძლება მოიცავდეს ერთობლივ კვლევით პროექტებს და დახმარებას პროგრამების შემუშავებაში. საერთაშორისო ურთიერთობების ოფისისა და სტუდენტთა დახმარების სამსახურის წარმომადგენლები აცხადებენ, რომ ამჟამად ისინი ასევე მუშაობენ ევროპის ინსტიტუტებთან გაცვლით პროგრამებთან და თანამშრომლობით პროექტებთან დაკავშირებით. ამასთან, რადგან უსდ ჯერ კიდევ საწყის ეტაპზეა, ეს პროცესი ძირითადად დამოკიდებულია უნივერსიტეტის აკადემიური თანამშრომლებისა და სხვა პერსონალის პირად კავშირებზე. ადგილობრივი სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერის თვალსაზრისით, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი გეგმავს ხელი შეუწყოს სტუდენტური ორგანიზაციის შექმნას, როგორიცაა IFMSA, EMSA, EDSA და ამ მიზნით თანდათანობით ზრდის ფინანსურ რესურსებს ბიუჯეტში.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება გეგმავს ფინანსური დახმარების გაწევას ამ სპეციფიკური სტუდენტებისათვის:

- სოციალურად დაუცველი პირები.
- სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირები.
- საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებული პირები.
- საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის დაცვას შეწირული პირების შვილები.
- საქართველოს მოქალაქე, მრავალშვილიანი ოჯახის წევრები.
- სტუდენტები საქართველოს მთიანი რეგიონებიდან.

ფინანსური დახმარება ემყარება რექტორის ბრძანებას. ამ თემასთან დაკავშირებული რეგულაციები აღწერილია შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დახმარების მექანიზმში. აღსანიშნავია, რომ ერთი წლის განმავლობაში სწავლის საფასური იგივე იქნება ექვსწლიანი პროგრამის განმავლობაში, მაგრამ თანხის ოდენობა მითითებული არ არის უნივერსიტეტის ვებგვერდზე. მიზანშეწონილი იქნება, რომ ინფორმაცია შეიტანოთ მიღების განყოფილებაში დაინტერესებული პირების დეტალური ინფორმირების მიზნით.

<u>უკუკავშირის კვსუ-ის არგუმენტირებულ პოზიციაზე:</u>

კვსუ-ის არგუმენტირებული პოზიცია სტანდარტი 5.2-ის შესახებ ექსპერტთა ჯგუფის შეფასებაზე მიღებულ იქნა. მიუხედავად იმისა, რომ თავდაპირველად, საკითხის წარმოშობისას, ვებგვერდი არ

| |
|---|
| მოიცავდა სწავლის საფასურს, კვსუ-მ მოახდინა ამის კორექტირება მომენტალურად. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფი შეთანხმდა რომ მიზანშეწონილია შეცვალოს რეკომენდაცია რჩევად. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br>• თვითშეფასების ანგარიში;<br>• შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება;<br>• შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის შინაგანაწესი;<br>• შპს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის სოციალურად დაუცველი და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთა დახმარების მექანიზმები;<br>• ხელშეკრულება კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტსა და შპს კამარას შორის;<br>• ინტერვიუს შედეგები. |
| **რეკომენდაციები:** |
| **რჩევები:**<br>• თავდაპირველად, სტუდენტთა მცირე რაოდენობის გამო, სტუდენტთა დახმარების სისტემები რამოდენიმე წლის განმავლობაში დარჩება შედარებით „შეუმოწმებელი“ და ადრეული გამოკითხვების შედეგად მიღებული მონაცემები იქნება მწირი. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტმა შეიძლება მოინდომოს ამისათვის სამიზნე ნიშნულების შესწორება, სანამ სტუდენტთა რიცხვი არ გაიზრდება.<br>• მიზანშეწონილია აკადემიურ და მოწვეულ პერსონალში წინასწარ განსაზღვრული საკონსულტაციო საათების შესახებ ინფორმირებულობის გაზრდა, რათა მომავალში სტუდენტები უზრუნველყოფილნი იყვნენ სათანადო დახმარებით.<br>• უნივერსიტეტის ვებგვერდზე განთავსდეს უფრო დეტალური ინფორმაცია პროგრამების შესახებ და უზრუნველყოფილ იქნეს, რომ ვებგვერდი წარმოაჩენს უნივერსიტეტის ყველა შესაძლებლობას და ადეკვატურ ინფორმაციას აწვდის დაინტერესებულ მხარეებს. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (ასეთისარსებობის შემთხვევაში):**<br>• ამერიკის შეერთებულ შტატებში საერთაშორისო არჩევითი კურსების/როტაციების/სტაჟირების გავლის შესაძლებლობები ემორის უნივერსიტეტში და მასთან აფილირებულ დაწესებულებებში არის სტუდენტური გამოცდილებისა და კარიერული შესაძლებლობების ამაღლების შესანიშნავი გზა. |
| **შეფასება**<br>მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:<br>☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## 6. კვლევა, განვითარება და/ან სხვა შემოქმედებითი საქმიანობა

უსდ, თავისი ფორმისა და დარგ(ებ)ის სპეციფიკის გათვალისწინებით, ზრუნავს საკუთარი კვლევითი ფუნქციის გაძლიერებაზე, უზრუნველყოფს კვლევების ხელშემწყობი პირობების შექმნასა და ამ საქმიანობის ხარისხის ამაღლებას.

| |
|---|
| 6.1 კვლევითი საქმიანობა |

- უსდ, თავისი სახისა და დარგის სპეციფიკიდან გამომდინარე, ახორციელებს კვლევით/შემოქმედებით საქმიანობას.
- სადოქტორო კვლევების ხელმძღვანელობის ეფექტურობის უზრუნველყოფა.
- უსდ-ს აქვს დარგის სპეციფიკის შესაბამისი სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის საჯარო, გამჭირვალე და სამართლიანი პროცედურები.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კვსუ არის ახლად დაარსებული სასწავლო უნივერსიტეტი და მისი ერთ-ერთი პრიორიტეტია სამეცნიერო კვლევის შედეგების პოპულარიზაცია, ინტერნაციონალიზაცია და განხორციელება. საგანმანათლებლო დონეზე, მისი ერთ – ერთი მთავარი მიზანია (როგორც ეს აღწერილია კვლევის სტრატეგიაში) სტუდენტთა სამეცნიერო – კვლევითი უნარების განვითარება და მათი დაინტერესება კვლევით პროექტებში ჩართვით. როგორც ჩანს, ეს ამბიციური მიზანი კარგად კარგად დამკვიდრებულია, რადგან მედიცინის პროგრამა შემუშავდა საერთაშორისო პარტნიორთან, ემორის უნივერსიტეტთან თანამშრომლობით, რომელსაც გააჩნია ძლიერი კვლევითი გამოცდილება. თვითშეფასების ანგარიში საკმაოდ ნათლად აღწერს ამ პროცესს და მასში ასევე ნათლად არის გამოკვეთილი საგანმანათლებლო პროგრამის კვლევითი კომპონენტები. კვსუ სტუდენტებს სთავაზობს კვლევაზე ორიენტირებულსხვადასხვა საგანმანათლებლო შესაძლებლობებს, როგორიცაა აკადემიური წერა, სამეცნიერო მეთოდის კურსები და ა.შ., რაც შეიძლება ჩაითვალოს სამეცნიერო საქმიანობაში მათი სამომავლო ჩართულობის საფუძვლად და ეს მათ ასევე მოამზადებს გაცვლითი საქმიანობის შესაძლებლობებისთვის. სტრატეგიული მიზანი არის ცოდნისა და აღქმის მიწოდება ჯანდაცვის სფეროში კვლევის როლის შესახებ და ამ მიმართულებით დიდი ყურადღება ექცევა პროგრამის ადრეული ეტაპებიდან კვლევის უნარების ჩამოყალიბებას, რაც კულმინაციას აღწევს დამოუკიდებელ კვლევებში ბოლო წელს. ასევე დაგეგმილია აქტიური თანამშრომლობა საერთაშორისო პარტნიორთან და საერთაშორისო ასოციაციებთან (მაგ., AMEE, AMSE) და სამეცნიერო ორგანიზაციებთან. მიუხედავად ამისა, გარდა ემორის უნივერსიტეტისა აშშ – ში, ამჟამად არანაირი მტკიცებულება არ არსებობს აქტიური, მიმდინარე თანამშრომლობისთვის.

უსდ-ს ამჟამინდელი კვლევითი პრიორიტეტებია: 1. საზოგადოებრივი ჯანდაცვა და 2. სამედიცინო განათლება, მაგრამ ამ სფეროების გარდა, კვსუ ხელს შეუწყობს ფუნდამენტურ (საბაზო მეცნიერებებს) და კლინიკურ კვლევებს; აღინიშნა, რომ კვლევის პრიორიტეტების განსაზღვრა არ წარმოადგენს შეზღუდვას სხვა სახის კვლევითი საქმიანობისთვის.

უნივერსიტეტის სამეცნიერო საქმიანობის განმტკიცების მიზნით, დაგეგმილია საკონსულტაციო საბჭოს შექმნა. ეს საბჭო, სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახურთან ერთად მნიშვნელოვან როლს შეასრულებს პრიორიტეტული კვლევითი თემების შერჩევასა და განვითარებაში. გარდა ამისა, ფაკულტეტები გეგმავენ კვლევითი ცენტრის შექმნას, როგორც უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დამოუკიდებელი ერთეულის, შერჩეული პრიორიტეტების შესაბამისად კვლევის ჩატარების მიზნით. უსდ შეიმუშავებს საგრანტო სისტემას და ასევე შიდა დაფინანსების მექანიზმს, აკადემიური და მოწვეული პერსონალის წასახალისებლად, ასევე სტუდენტების ჩართვას ამ საქმიანობაში. სტრატეგიული განვითარების გეგმისა და კვლევის განვითარების სტრატეგიის მიხედვით, უსდ გეგმავს კვლევის განვითარებას ემორის უნივერსიტეტთან ერთად და გაამლიერებს პარტნიორობას უცხოურ კვლევით ინსტიტუტებთან. ამ ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი იქნება პერსონალის წევრების ჩართვა საერთაშორისო კვლევით პროექტებში.

დღეისათვის არ არსებობს სანდო მონაცემები და ინფორმაცია აკადემიური პერსონალის უნივერსიტეტის მიერ მხარდაჭერილი სამეცნიერო საქმიანობის შესახებ.

ამ მიზნებისთვის გამოყოფილი ბიუჯეტი ამჟამად შეადგენს 100 000 ლარს, მაგრამ დაფინანსება გაიზრდება ყოველ მომდევნო წელს და უნივერსიტეტი მიზნად ისახავს, რომ გამოყოს თავისი ბიუჯეტის 10% 2026 წლისთვის კვლევითი საქმიანობისთვის. საერთაშორისო პერსონალის რაოდენობა, რომელიც მონაწილეობს სამეცნიერო საქმიანობის განხორციელებაში, არც თუ ისე მაღალია (სწავლებისა და კვლევის საქმიანობაში მხოლოდ შვიდი უცხოელი პროფესიონალია ჩართული), მაგრამ უსდ ცდილობს და გეგმავს თანამშრომლობის გაძლიერებას საერთაშორისო დონეზე. ამჟამად არ არსებობს სამაგისტრო (სადოქტორო) პროგრამები, მაგრამ უნივერსიტეტი გეგმავს სამაგისტრო პროგრამების შემუშავებას, კვლევითი საქმიანობის შემდგომი გაძლიერების მიზნით. ასევე, ერთობლივი სამაგისტრო პროგრამების შემუშავების მიზნით პარტნიორების მოძიება და მოზიდვა წარმოადგენს უმთავრეს მიზანს. ჯამში, არსებული ვითარება მისაღებია და წინაპირობა უზრუნველყოფს სათანადო საწყის წერტილს ყველა დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად.

<u>**უკუკავშირი კვსუ-ს არგუმენტირებულ პოზიციაზე:**</u>

ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებაა, რომ საჭირო არ არის რეკომენდაციის შეცვლა. ჩვენ ვეთანხმებით კვსუ-ს მიერ გაკეთებულ შენიშვნას, რომ ჩვენ მიერ გამოთქმული მოსაზრება შეესაბამება უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხედვას და მნიშვნელოვანია, რომ ყურადღება გაამახვილონ გარე დაფინანსების შესაძლებლობებზე და აკადემიური პერსონალის კვალიფიციურ დახმარებაზე, და მართლაც, ეს იდეები ჩამოთვლილია სტრატეგიული განვითარების გეგმისა და კვლევის განვითარების სტრატეგიის მრავალ პუნქტსა და ქვეპუნქტში, როგორც ეს არის სწორად ასახული უსდ-ს საყვედურში. ამის მიუხედავად, ექსპერტთა ჯგუფი საჭიროდ მიიჩნევს, რომ რამდენიმე დოკუმენტში გამოხატული სხვადასხვა გეგმა, მომიჯნავე და ერთმანეთთან დაკავშირებული სფეროები უნდა გაერთიანდეს ერთ დოკუმენტში. ეს მიდგომა უფრო მარტივს გახდის გეგმების განხორციელებას და კონტროლს. ჩვენს განზრახვაში გარკვევის მიზნით ზემოთ აღნიშნულ აბზაცს დაემატა წინადადება.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- კვლევების განვითარების სტრატეგია.

**რეკომენდაციები:**

- საჭიროა კვლევის პროექტების განსახორციელებლად გარე დაფინანსების შესაძლებლობებზე ფოკუსირება და საგრანტო განაცხადებისა და საპროექტო წინადადებების მქონე აკადემიური პერსონალისთვის საექსპერტო დახმარებითა და ტრენინგით უზრუნველყოფა.

**რჩევები:**

- ემორის სამედიცინო სკოლასთან თანამშრომლობა ითვალისწინებს როგორც საგანმანათლებლო, ასევე კვლევითი მიმართულებით მუშაობას. საჭიროა გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რა მიმართულებით გაგრძელდება ძირითადი და / ან კლინიკური კვლევები (მაგ. ტოქსიკოლოგია, ნეირომეცნიერება, ნეიროქირურგია და ა.შ.) კვსუ- ში. ეს იძლევა საშუალებას კვლევითი და სწავლების საქმიანობის დასაკავშირებლად სწავლების დღის წესრიგში დაგეგმილი სამაგისტრო საქმიანობების დონეზე.
- სამეცნიერო ფონდებთან და ბიზნეს სექტორთან უფრო მეტი თანამშრომლობის განვითარება გააძლიერებს კონკრეტულ კვლევით საქმიანობას.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.2. კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია**

- უსდ-ს გააჩნია კვლევის, განვითარებისა და სახელოვნებო-შემოქმედებითი საქმიანობის მხარდაჭერის ეფექტური სისტემა.
- ახალი კადრების მოზიდვა და ჩართვა კვლევით და სახელოვნებო-შემოქმედებით საქმიანობაში.
- დაწესებულება მუშაობს კვლევითი, განვითარებისა და შემოქმედებითი საქმიანობების ინტერნაციონალიზაციის მიმართულებით.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უნივერსიტეტში სამეცნიერო საქმიანობას კოორდინაციას გაუწევს სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახური, ხოლო ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკის განხორციელებას (ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკისა და მექანიზმების შესაბამისად - 8.1.4.) კოორდინაციას უწევს საერთაშორისო ურთიერთობები, სტრატეგიული განვითარება და ადამიანური რესურსების სამსახური. საერთაშორისო გამოცდილების მქონე აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის მოზიდვა ასევე შედის სამედიცინო კვლევითი ბაზების გეგმებსა და შეთანხმებებში, დაგეგმილია, რომ საქართველოსა და უცხოეთის უნივერსიტეტები განახორციელებენ კვლევებს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საჭიროიქნება ზუსტი აღწერა, ამ ამოცანების დაზუსტება მნიშვნელოვანი იქნება მომავალში. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შეფასება ასევე დაეყრდნობა სასწავლო და სამეცნიერო საქმიანობის შეფასებას.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აცნობიერებს იმ ფაქტს, რომ კვლევითი საქმიანობა უნდა გაძლიერდეს და, შესაბამისად, დაგეგმილია მიზნობრივი დახმარების გაწევა შემდეგი მიმართულებებისთვის: კვლევითი ინფორმაციული მხარდაჭერის დანერგვა, აკადემიური პერსონალის კვლევის დაფინანსების მართვადი პროცედურები, სამაგისტრო პროგრამების შემუშავება და მომზადება აკრედიტაციისათვის და მკაცრი ანტი-პლაგიატის პოლიტიკის შემუშავება და განვითარება. აქვე უნდა ისევ აღინიშნოს, რომ  არსებული ვითარება, როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციით არის აღწერილი, მისაღებია, გეგმები განხორციელებადი, ხოლო წინაპირობა უზრუნველყოფს სათანადო საწყის წერტილს ყველა დაგეგმილი საქმიანობის განსახორციელებლად.

**<u>უკუკავშირი კვსუ-ს არგუმენტირებულ პოზიციაზე:</u>**

კვსუ-მ შემოგვთავაზა, რომ ესრეკომენდაცია შეიცვალოს რჩევად, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული რეკომენდაციად უნდა დარჩეს. კრიტიკულად მნიშვნელოვანია დაგეგმილი და გამოკვეთილი, კვლევებთან დაკავშირებული პროცესების დროული შესრულების აუცილებლობა და დროულად უნდა ჩაეყაროს ძლიერი საფუძველი ახალი, უაღრესად რთული სისტემის მშენებლობას. რეკომენდაციის თანახმად, მკაცრი განმარტებები, ზუსტი ვადები და მკაფიოდ აღწერილი წლიური ამოცანები ხელს შეუწყობს განხორციელებას და გაუადვილებს გეგმების მონიტორინგს.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- კვლევების განვითარების სტრატეგია.

**რეკომენდაციები:**

- კვსუ–ს 2021-2027 წლების სტრატეგიულ გეგმაში ჩამოთვლილი ყველა დაგეგმილ კვლევასთან დაკავშირებული საქმიანობის ეტაპობრივად შესრულება (დანართი 2 და დანართი 28 (კვლევის განვითარების სტრატეგიაში 2021-2027 წლებისთვის განსაზღვრული საქმიანობა), განსაკუთრებული ყურადღების გამახვილებით კვლევითი ცენტრის განვითარების დაწყებაზე.
- მეტი აქცენტი უნდა გაკეთდეს კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებაზე, მეცნიერმეტრიის საშუალებით კვლევის შედეგების სისტემატური და რეგულარული მიმოხილვის შემუშავებით, რიცხობრივი დესკრიპტორების გამოყენებით, ნაცვლად "რბილი" თვისებრივი კრიტერიუმებისა.
- უნდა განხორციელდეს სქემები კვლევის მაღალი ხარისხის აღიარებისათვის, მაგალითად, სწავლების ან ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის გადანაწილების გზით, რამაც თავის მხრივ, შეიძლება მოიტანოს კვლევების განვითარება.
- კვლევითი საქმიანობის შეფასება უნდა ემყარებოდეს მეცნიერმეტრის რიცხვებსა და დადგენილ მაჩვენებლებს (მაგ., პირველი ან ბოლო ავტორობა Q1 ან Q2 პერიოდულ გამოცემებში, სტუდენტებთან თანაავტორობის რაოდენობა სამეცნიერო ნაშრომებში და ა.შ.). ხარისხის ამაღლების მიზნით, უნდა განხორციელდეს ლიმიტების დადგენა მიღებული საერთო საფუძვლის თანახმად.

**რჩევები:**

- მიზანშეწონილია, სტუდენტთა კვლევის (სტუდენტური სამეცნიერო წრეების შექმნა) სისტემის დანერგვა და აქტიური მხარდაჭერა, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს საქართველოსა და პარტნიორი (ემორის სახელმწიფო უნივერსიტეტის) ინსტიტუტების ქსელის ჩამოყალიბებას.
- ინდივიდუალური სტუდენტებისა და სტუდენტური ასოციაციების სტიმულირება, მოტივაცია და დაჯილდოება უნდა განხორციელდეს, რათა განავითარონ ეს აქტივობები უსდ-ს ბაზაზე.
- კვლევის მხარდაჭერის კარგი საყრდენი თანადაფინანსების პოლიტიკაა - დაწესებულება უზრუნველყოფს სახსრებს ყველა სახის კვლევითი პროექტებისთვის, თუ განაცხადის თანადაფინანსება ხდება სხვა ინსტიტუტების მიერ და ეს მნიშვნელოვნად გაზრდის პროექტების მასშტაბსა და მოცულობას, რომელთა მხარდაჭერაც შესაძლებელია.
- კვსუ-ს (კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს) შეუძლია ჩამოაყალიბოს სტუდენტთა პროექტში ჩართვის მოთხოვნა წარმატებული კვლევის გრანტის დაფინანსების პროგრამებში. ეს მიდგომა ნამდვილად გაზრდის სამეცნიერო ნაყოფიერებას/ ხარისხს და ასევე უნივერსიტეტის "ხილვადობას".

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**6.3. კვლევითი საქმიანობის შეფასება**

- უსდ-ს გააჩნია კვლევითი/შემოქმედებითი საქმიანობის ხარისხის, სამეცნიერო-კვლევითი ერთეულებისა და აკადემიური/სამეცნიერო პერსონალის სამეცნიერო პროდუქტიულობის შეფასებისა და ანალიზის სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

უსდ წაახალისებს პერსონალს მონაწილეობა მიიღონ სხვადასხვა სამეცნიერო საქმიანობაში, აკადემიური პერსონალის კონტრაქტებში კვლევის შედეგებში წარმატების მიღწევის გზით; აფილირებული პერსონალი ხელს უწყობს სამეცნიერო საქმიანობის ჩატარებას კვლევის პრიორიტეტული მიმართულებების გათვალისწინებით (რომლებიც წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვისა და სამედიცინო განათლებას), ხოლო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება აცხადებს თავის განზრახვას, გამოყოს საჭირო თანხები ამ მხარდაჭერილი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის განსახორციელებლად.

როგორც ხარისხის კულტურის ნაწილი, უსდ-მ ჩამოაყალიბა სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის შეფასების წესები; იგი ხორციელდება შეფასების სისტემების საფუძველზე. პერსონალის კვლევითი და სამეცნიერო საქმიანობის მოვალეობები და დატვირთვა განსხვავდება სწავლებასა და სხვა პროცესებში აფილირებისა და ჩართულობის შესაბამისად. ასევე, ამგვარი საქმიანობის შეფასების წესი შეიცავს სხვადასხვა კრიტერიუმებს, პუბლიკაციების, სტატიების, მონოგრაფიების ქულებს და ა.შ. უფრო ზუსტად, აკადემიური და მოწვეული პერსონალის მუშაობის შეფასება ეფუძნება მათი სწავლებისა და კვლევის საქმიანობის ყოველწლიურ შეფასებას თვითშეფასებისა და კითხვარების საშუალებით; დოკუმენტი სახელწოდებით "უნივერსიტეტის პერსონალის სამეცნიერო-კვლევითი და აკადემიური საქმიანობის შეფასების წესი" მოიცავს ამ მიზნის სხვადასხვა მაჩვენებელს, აქ შეფასების რანჟირებაში გათვალისწინებული იქნება სამეცნიერო პუბლიკაციები, სამეცნიერო-კვლევით პროექტებში მონაწილეობა და კონფერენციები. შეფასებას ახორციელებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური (ამ მიზნით იგეგმება ელექტრონული პორტალის გამოყენება), სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახურთან და საერთაშორისო ურთიერთობების, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახურთან და აკადემიურ საბჭოსთან ერთად, რომელთაგან ყველა მათგანი იქნება ჩართული გადაწყვეტილების მიღებაში არგუმენტირების ბარიერების შესახებ. მომავალ წლებში დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს ასეთი შეფასების შედეგები, რადგან ამ ეტაპზე არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შესახებ.

კვსუ-ს მიერ კვლევითი საქმიანობისა და შედეგების მნიშვნელობის გათვალისწინებით, მათ შესაძლოა განიხილონ ამის უფრო მკაფიო განხორციელება ორგანიზაციული სტრუქტურების საშუალებითმაგალითად, კვსუ-მ შეიძლება განიხილოს კომიტეტის ("სამეცნიერო საბჭო") შექმნის შესაძლებლობა, რომელიც სპეციალურად "მეცნიერებისა და კვლევისთვის" იქნება განკუთვნილი, რათა მოხდეს საკმაოდ ფრაგმენტული დაგეგმვისა და ადმინისტრაციული ამოცანების კოორდინაცია, უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა. ამ ერთობლივ კომიტეტს შეუძლია გააერთიანოს ფაკულტეტისა და სხვა შესაბამისი ორგანოების, როგორიცაა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, საერთაშორისო ურთიერთობები, სტრატეგიული განვითარების და ადამიანური რესურსების სამსახური და სამედიცინო განათლებისა და კვლევის განვითარების სამსახური - არჩეული წევრობა, მანდატები და უფლებამოსილებები შესაძლოა, როგორც აკადემიური საბჭოს ქვეკომიტეტში, რომელსაც უხელმძღვანელებს პრორექტორი.

**<u>უკუკავშირი კვსუ-ს არგუმენტირებულ პოზიციაზე:</u>**

კვსუ-ს შეთავაზების მიხედვით, ეს რეკომენდაცია უნდა შეიცვალოს რჩევით, თუმცა ექსპერტთა ჯგუფის აზრით, აღნიშნული უნდა დარჩეს რეკომენდაციად. ექსპერტთა ჯგუფი ხაზს უსვამს უსდ-ს მიერ სამეცნიერო პროდუქტულობის რეგულარული შეფასებისა და გამოქვეყნების აშკარასაჭიროებას. ეს მიდგომა თვალსაჩინოს გახდის წლიდან წლამდე განხორციელებულ ცვლილებებს. უსდ-მ უნდა მიიღოს ეს რეკომენდაცია როგორც ინსტრუმენტი - კარგი საფუძველი - სამომავლო განვითარების შეფასებისთვის.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუს შედეგები;
- თვითშეფასების ანგარიში;
- სტრატეგიული განვითარების გეგმა 2021-2027;
- სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- შრომითი კონტრაქტის ნიმუშები;
- კვლევების განვითარების სტრატეგია.

**რეკომენდაციები:**

- მომავალ წლებში დაინტერესებული მხარეებისთვის ხელმისაწვდომი უნდა გახდეს კვლევის შედეგების შეფასება, რადგან ამ ეტაპზე არ არსებობს სტატისტიკური მონაცემები მიმდინარე კვლევითი საქმიანობის შესახებ.

**რჩევები:**

- კვსუ–მ შეიძლება განიხილოს გზები, რათა უფრო მნიშვნელოვანი გახადოს სამეცნიერო საქმიანობა, ხოლო შედეგები უფრო მკაფიო ისეთი ორგანიზაციული სტრუქტურების მეშვეობით, როგორიცაა,კომიტეტი („სამეცნიერო საბჭო“), რომელიც სპეციალურად "მეცნიერებისა და კვლევისთვის" იქნება განკუთვნილი, რათა მოხდეს საკმაოდ ფრაგმენტული დაგეგმვისა და ადმინისტრაციული ამოცანების კოორდინაცია, უნივერსიტეტში სამეცნიერო კვლევებთან დაკავშირებული საქმიანობის კონტროლი და ზედამხედველობა.
- სამეცნიერო საქმიანობის ინიცირების, დაგეგმვისა და მონიტორინგის წესების აღწერა და კვლევითი საქმიანობის ხარისხის შეფასების მექანიზმში აღწერილი ელემენტები ან ხარისხობრივია, ან მეტად ზოგადი, ტერმინების ფართო გამოყენებით. უმჯობესი იქნებოდა ზუსტი განმარტებების ქონა და მეცნიერმეტრია, ციფრების მითითებით.
- სასარგებლო იქნება სტატისტიკური მონაცემების შეგროვება და გამოქვეყნება (ვებგვერდზე) მიმდინარე სამეცნიერო–კვლევით საქმიანობასა და გამოქვეყნებული მასალების ხარისხის შესახებ, რათა შესაძლებელი გახდეს მომავალი შედარებების გაკეთება.
- საბაზისო და კლინიკურ მეცნიერებაში პრიორიტეტული სფეროების განსაზღვრა ფაკულტეტს შესაძლებლობას მისცემს გამოხატოს თავისი თავი უფრო ზუსტად, დაასაქმოს საუკეთესო პერსონალი და თანამშრომლები, ასევე მოიპოვოს ეროვნული და საერთაშორისო დაფინანსებები ამ აქტივობების მხარდასაჭერად.
- ბალანსი აკადემიური საბჭოს პასუხისმგებლობასა და ფაკულტეტის სამეცნიერო და პერსონალური განვითარების პროგრამების (მედიცინა და სტომატოლოგია) ხელმძღვანელობას შორის შეიძლება უფრო მკაფიოდ განისაზღვროს, კერძოდ მას შემდეგ, რაც სტუდენტები დაიწყებენ პროგრამებში პროგრესირებას.
- კვლევის შედეგების მუდმივი და სისტემატური მონიტორინგი, ინოვაციის შესახებ წინადადებების ჩათვლით, პირველი წლების განმავლობაში გამოსადეგი იქნებოდა პროგრამის ხარისხისა და საერთაშორისო ხილვადობის გაზრდისათვის.

**საუკეთესო პრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☒ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 7. მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები

უსდ-ის მატერიალური, საინფორმაციოდა ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს დაწესებულების მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან დაეფექტურ ფუნქციონირებას და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

### 7.1. მატერიალური რესურსები

- დაწესებულებას გააჩნია ან მის მფლობელობაშია მატერიალური რესურსები (ფიქსირებული და მიმდინარე აქტივები), რომლებიც გამოიყენება დაწესებულების მისიისა და მიზნების მიღწევისთვის, ადეკვატურად პასუხობს საგანმანათლებლო პროგრამებისა და კვლევითი საქმიანობის მოთხოვნებს და შეესაბამება მოქმედი სტუდენტებისა და დაგეგმილი ჩარიცხვების არსებულ რაოდენობას.
- უსდ სტუდენტებს სთავაზობს საგანმანათლებლო საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო გარემოს: სანიტარიული კვანძები, ბუნებრივი განათების შესაძლებლობა და გათბობის ცენტრალური სისტემა.
- დაწესებულებაში დაცულია პერსონალისა და სტუდენტთა უსაფრთხოება და ჯანმრთელობა.
- უსდ-ს აქვს ადაპტირებული გარემო სპეციალური საჭიროებების მქონე პირებისთვის.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს გააჩნია (საიჯარო ხელშეკრულება 8 წლით) თანამედროვე, მაღალი დონის ინფრასტრუქტურა. შენობები აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით, რაც მნიშვნელოვანი სასწავლო გარემოსთვის და მრავალმხრივ არის მოსახერხებელი, როგორც სტუდენტებისთვის, ასევე აკადემიური და ადმინისტრაციული პერსონალისთვის. უნივერსიტეტის შესასვლელი მდებარეობს ცალკე და საინფორმაციო ნიშნები ნათლად არის მითითებული შენობის ფასადზე. ამასთან, უნივერსიტეტი გეგმავს გააუმჯობესოს და შეაკეთოს შენობა სტუდენტების მიღების პერიოდისთვის.

პროგრამის განსახორციელებლად უნივერსიტეტს აქვს ძირითადი ტექნიკური და მატერიალური რესურსები. სტუდენტებისა და პერსონალისთვის, კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს რეკრეაციული ზონები, გამწვანებული ეზოები, ღია სტადიონი მინი ფეხბურთისთვის. ყველა საკლასო ოთახსა და სამუშაო ოთახს კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში აქვს ბუნებრივი და ხელოვნური განათების შესაძლებლობები. სანიტარული ბლოკები მიეწოდება მუდმივი წყალმომარაგება და იწმინდება სათანადოდ. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში არის კლინიკური უნარების ოთახი. იგი აღჭურვილია თანამედროვე სტანდარტების ინვენტარით. იგი აღჭურვილია კომპიუტერიზებული, მაღალეფექტური სიმულატორებით და ელექტრონული სასწავლო პროგრამებით. უნდა აღინიშნოს, რომ საკლასო ოთახების უმეტესობა აღჭურვილია პაციენტთან კომუნიკაციისა და მისთვის გამოკვლევის ჩატარების ყველა აუცილებელი ტექნიკით (მრავალფუნქციური დიაგნოსტიკური კომპლექტი). უნივერსიტეტში არსებობს ლაბორატორია, რომელიც აღჭურვილია შესაბამისი ინვენტარით.

უნივერსიტეტის საგამოცდო ცენტრი სრულად აღჭურვილია კომპიუტერული ტექნიკით, კონდიცირება-გათბობა-ვენტილაციის სისტემით. უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსიდან სასწავლო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისას გამოიყენება: 92 კომპიუტერი (მათ შორის 43 ლეპტოპი), 24 პროექტორი, 5 ტელევიზორ-პროექტორი, 2 სმარტ-დაფა, 12 საბეჭდი და ასლის

დამზადების მოწყობილობა გამოიყენება უნივერსიტეტის მატერიალური და ტექნიკური ბაზიდან ორგანიზებული სასწავლო პროცესის უზრუნველსაყოფად. ასევე გამოიყენება 1506 ერთეული სამედიცინო ტექნიკა. ყველა მოქმედი პერსონალური კომპიუტერი კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის განყოფილებებში ჩართულია ქსელში და დაკავშირებულია ინტერნეტთან. უნივერსიტეტის ტერიტორია დაფარულია მაღალი ხარისხის Wi-Fi ქსელით, რომელიც უზრუნველყოფს ინტერნეტთან შეუფერხებელ წვდომას.

ხელშეკრულებები / მემორანდუმები სამედიცინო ორგანიზაციებთან (კლინიკებთან), სადაც სწავლების, კლინიკური და სამეცნიერო საქმიანობა ჩატარდება, წარმოდგენილი იქნა უნივერსიტეტის მიერ. ექსპერტთა ჯგუფი ეწვია საავადმყოფოებს:

- კენ ვოლკერის საერთაშორისო საუნივერსიტეტო კლინიკას
- შპს აკადემიკოსი გ. ჩაფიძის სახელობის გადაუდებელი კარდიოლოგიის ცენტრს

საავადმყოფოს წარმომადგენლებმა მიაწოდეს ინფორმაცია უნივერსიტეტთან თანამშრომლობის მნიშვნელობის შესახებ, განმარტეს პროცესები და აჩვენეს სტუდენტებისათვის გამოყოფილი სივრცეები.
ასევე, უნიდენტის კლინიკა განთავსებული შემდეგ მისამართზე: თბილისი, ჯ. კახიძის # 2 და # 3, რომელიც ძირითადად გამოიყენება სტომატოლოგიური პროგრამისთვის, სრულად არის აღჭურვილი თანამედროვე სტომატოლოგიური კლინიკის ინვენტარით. გარდა ამისა, ამ ტერიტორიაზე არსებობს 24 (ოცდაოთხი)Boer Machine ST-D302 და სხვა ინვენტართან ერთად ისინი უნივერსიტეტის მფლობელობაშია საიჯარო პირობების საფუძველზე.

კვსუ ადაპტირებულია განსაკუთრებული სპეციალური საჭიროებების მქონე სტუდენტებისთვის. ამასთანავე, უნივერსიტეტის შესასვლელი ადაპტირებულია პანდუსით. დაწესებულება აღჭურვილია ლიფტით და სველი წერტილებით ყველა სართულზე და სათანადოდ არის მოწყობილი. სპეციალური საჭიროების მქონე სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომია ბიბლიოთეკა, საკლასო ოთახები, ადმინისტრაცია და შესაბამისი სერვისები. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის არსებობს სპეციალური პარკინგის ადგილი შენობასთან ახლოს. მათ შეუფერხებლად შეუძლიათ მივიდნენ შენობამდე პარკირების ადგილიდან. უნივერსიტეტი აღჭურვილია კონდიციონერით და გათბობის სისტემით. ასევე, ხელმისაწვდომია სარეზერვო სისტემა ელექტროენერგიის მომარაგებისთვის, რომელიც მდებარეობს შენობის გარეთ. პანდემიის გამო, ადგილზე ვიზიტისას კაფეტერია სრულყოფილად არ ფუნქციონირებდა. უნივერსიტეტის საავადმყოფოს დირექტორმა აღნიშნა, რომ განხორციელდება კაფეტერიის რეორგანიზაცია და მოემსახურება უნივერსიტეტის პერსონალს, პაციენტებს და სტუდენტებს. ადმინისტრაციის უფროსმა აღნიშნა, რომ შენობაში ხელმისაწვდომი სტუდენტებისათვის განკუთვნილი ტერასა შეიძლება გამოყენებულ იქნას ლანჩის დროს.

ხელმისაწვდომია სპეციალური ოთახი ექიმისთვის, რომელიც აღჭურვილია ინვენტარითა და რესურსებით. ექიმი მუშაობს უნივერსიტეტში, რათა უზრუნველყოს პირველადი გადაუდებელი სამედიცინო დახმარება სტუდენტებისა და პერსონალისთვის. უნივერსიტეტს ემსახურება უსაფრთხოების მენეჯერი, რომლის ძირითადი ფუნქციაა უნივერსიტეტში უსაფრთხოებისა და წესრიგის დაცვა. ასევე, საიჯარო ხელშეკრულების საფუძველზე, მეიჯარე პასუხისმგებელია უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე ტერიტორიის გარე პერიმეტრზე.
ვიდეო სათვალთვალო სისტემა ვიდეო ჩამწერით დამონტაჟებულია, როგორც უნივერსიტეტის შენობის შიგნით, ისე მის გარეთ.

უნივერსიტეტის ტერიტორია სრულად არის აღჭურვილი ხანძარსაწინააღმდეგო სისტემით და შესაბამისი ინვენტარით. ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარიზაციისა და ევაკუაციის გეგმები განთავსებულია შესამჩნევ ადგილებში. კლინიკის დირექტორმა აღნიშნა, რომ ლიფტების გამოყენება შესაძლებელია ევაკუაციის დროს, რადგან იგი აღჭურვილია სპეციალური სავენტილაციო სისტემით.

უნივერსიტეტს გაფორმებული აქვს ხელშეკრულება შესაბამის კომპანიასთან, რათა უზრუნველყოს სამუშაო უსაფრთხოებისა და სამუშაო პირობების დაცვა კანონით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისად.

**უკუკავშირი კვსუ-ს არგუმენტირებულ პოზიციაზე:**

თხოვნა საგანმანათლებლო მოწყობილობების სიასთან დაკავშირებით ფაქტობრივ შესწორებაზე მიღებულია და შეტანილია.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- თვითშეფასების ანგარიში;
- ადგილზე ვიზიტი;
- ინტერვიუები.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- შესაძლოა მიზანშეწონილი იყოს სტუდენტებისთვის ცალკე კაფეტერიის შექმნის იდეის განხილვა.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- თითოეული სტუდენტისთვის ინდივიდუალური ბურის აპარატით (Boer Machine) უზრუნველყოფა სტომატოლოგიის პროგრამაში.

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.2. ბიბლიოთეკის რესურსები**

ბიბლიოთეკის გარემო, რესურსები და მომსახურება ხელს უწყობს სასწავლო და კვლევითი საქმიანობის ეფექტურ განხორციელებას და უსდ მუდმივად ზრუნავს მის განვითარებაზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა განთავსებულია მთავარი კამპუსის მე-6 სართულზე. იგი აღჭურვილია ყველა აუცილებელი სპეციალური ინვენტარითა და გაჯეტით საბიბლიოთეკო პროცესების განხორციელების მიზნით. ეს მოიცავს კომპიუტერებს, პრინტერს, სკანერს, პროექტორს, საკანცელარიო მასალებს და ა.შ. მკითხველს შეუძლია გამოიყენოს ნაბეჭდი, ციფრული, მულტიმედიური საინფორმაციო რესურსი. სივრცე და მატერიალური რესურსი საკმარისი უნდა იყოს იმ სტუდენტებისათვის, რომელთა მიღებაც დაგეგმილია.

ადგილზე ვიზიტისას ექსპერტთა პანელს საშუალება ჰქონდა დაეთვალიერებინა ბიბლიოთეკა, რომელიც დაყოფილია სივრცეებად. ერთ-ერთი მათგანია საკონფერენციო დარბაზი, რომელიც

გამოიყენება შეხვედრებისთვის. დარბაზი აღჭურვილია საკომუნიკაციო რესურსით და გამოიყენება აკადემიური შეხვედრებისთვის. ასევე, ბიბლიოთეკაში არის ინდივიდუალური სასწავლო და გუნდური მუშაობის ადგილები. არქივისთვის ადგილი გამოყოფილია, მაგრამ ჯერ არ გამოიყენება. სტუდენტთა ლაუნჯი უერთდება ბიბლიოთეკის სივრცეს. სტუდენტებს შეუძლიათ გამოიყენონ სივრცე დასასვენებლად, ჩაატარონ ჯგუფური შეხვედრები და ა.შ. ბიბლიოთეკა დაფარულია უსადენო ინტერნეტით, და ის ხელმისაწვდომია პერსონალური ნოუთბუქებისთვის, ტაბლეტებისა და მობილური ტელეფონებისთვის.

ბიბლიოთეკის მომსახურება ხორციელდება ქართულ და ინგლისურ ენებზე. ბიბლიოთეკის თანამშრომლები, რომლებიც ურთიერთობენ სტუდენტებთან, საუბრობენ ინგლისურად. ბიბლიოთეკა ხელმისაწვდომია სტუდენტებისა და პერსონალისთვის კვირაში 6 დღის განმავლობაში, 60 საათის განმავლობაში: ორშაბათი-პარასკევი - 09: 00–დან 20: 00–მდე, შაბათს - 10: 00 – დან 15:00 საათამდე. კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტში ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები განთავსებულია შესამჩნევ ადგილებში ქართულ და ინგლისურ ენებზე.
ელექტრონული კატალოგი და ციფრული წიგნების მონაცემთა ბაზები განთავსებულია ბიბლიოთეკის ვებგვერდზე. საძიებო სისტემა აადვილებს სასურველი ლიტერატურის წყაროს მოძიებას.

პროგრამების განმახორციელებელი აკადემიური პერსონალისა და სტუდენტების მოთხოვნებთან დაკავშირებით, ყოველწლიურად იგეგმება ახალი ლიტერატურის შეძენა. პროგრამის სილაბუსებში მითითებული ძირითადი ლიტერატურა სრულად არის ხელმისაწვდომი უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში, როგორც ბეჭდური, ისე ციფრული სახით. ამასთან, ექსპერტთა ჯგუფი რეკომენდაციის სახით სთავაზობს, სახელმძღვანელოების რაოდენობის გაზრდას, სტუდენტების რიცხვის მატებასთან ერთად.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს პირდაპირი წვდომა სტუდენტებისა და აკადემიური პერსონალის შემდეგ მონაცემთა ბაზებზე:

- Questia (questia.com)
- MedicineNet (https://www.medicinenet.com/)
- MedPix (https://medpix.nlm.nih.gov/home)
- EMedicine (https://emedicine.medscape.com/)
- ბრიტანეთის სამედიცინო ჟურნალი (BMJ) (https://www.bmj.com/).

ადგილზე ვიზიტისა და ბიბლიოთეკის თანამშრომლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ ბიბლიოთეკის მუშაობის შესაფასებლად იგეგმება პერსონალისა და სტუდენტების გამოკითხვა. კვლევა მოიცავს საბიბლიოთეკო მომსახურებას, მათ შორის, სასწავლო კურსების სილაბუსებში განსაზღვრულ ლიტერატურაზე, სასწავლო მასალებზე, წყაროებზე ხელმისაწვდომობას. უკუკავშირი გახდება საბიბლიოთეკო საქმიანობის მომავალი ოპტიმიზაციის ერთ-ერთი საფუძველი.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ადგილზე ვიზიტი (ბიბლიოთეკა);
- უნივერსიტეტის ვებგვერდი;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის დებულება;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს ბიბლიოთეკის რესურსების განახლებისა და სერვისების განვითარების მექანიზმები;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის საბიბლიოთეკო წესების გამოყენება;
- სამუშაოს აღწერილობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები;
- ხელშეკრულებები სამეცნიერო-ტექნიკური პროდუქტის გადაცემასთან დაკავშირებით;

- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის ბიუჯეტი;
- ბიბლიოთეკის კატალოგი;
- კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის საინვენტარო მასალები.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- მიზანშეწონილია სილაბუსების ძირითადი სახელმძღვანელოების ბეჭდური ასლების რაოდენობის გაზრდა.
- მიუხედავად იმისა, რომ მოსალოდნელია სწავლის მენეჯმენტის ახალ სისტემაზე სტუდენტთა ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა კლინიკებში, მიზანშეწონილია იმის საჭიროების დადასტურება, რომ სტუდენტებს ჰქონდეთ წვდომა ყველა სასწავლო მასალასა და ელექტრონულ პორტფოლიოს ინფორმაციაზე.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

**7.3 საინფორმაციო რესურსები**

- უსდ-ში შექმნილია ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა და უზრუნველყოფილია მისი ადმინისტრირება და ხელმისაწვდომობა.
- ელექტრონული სერვისები და მართვის ელექტრონული სისტემები დანერგილია და არსებობს მათი მუდმივი განვითარების ხელშემწყობი მექანიზმები.
- უსდ უზრუნველყოფს ბიზნეს პორცესების უწყვეტობას.
- უსდ-ს აქვს მოქმედი ვებ-გვერდი ქართულ და ინგლისურ ენებზე.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის საკლასო ოთახები და ბიბლიოთეკა აღჭურვილია კომპიუტერებითა და პროექტორებით ერთობლივი გამოყენებისთვის. მათი ტექნიკური მახასიათებლები უზრუნველყოფს მათ კარგ, შეუფერხებელ და სწრაფ ფუნქციონირებას საგანმანათლებლო მიზნებისთვის მომხმარებლის დონეზე. უნივერსიტეტის კომპიუტერული სისტემა იყენებს Microsoft Windows-ის ოპერაციულ სისტემას. ვირუსული პროგრამული უზრუნველყოფის უსაფრთხოების მიზნით, უნივერსიტეტში არსებული კომპიუტერული ტექნიკა აღჭურვილია ანტივირუსული და უნებართვო წვდომის ბლოკირების პროგრამით. უნივერსიტეტის ურთიერთსარგებლობისთვის განკუთვნილი კომპიუტერები დაკავშირებულია უნივერსიტეტის უსადენო ინტერნეტ ქსელთან.

ინტერვიუების დროს ექსპერტთა ჯგუფს სწრაფად წარედგინა სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა, რომელიც გამოქვეყნებულია შემდეგ ვებგვერდზე: http://www.kwiu.edu.ge/lms
როგორც ჩანს, სისტემა ყოვლისმომცველია და გააჩნია გაუმჯობესების უნარი.

სწავლის მართვის ელექტრონულ სისტემასთან წვდომა აქვთ: სტუდენტს; აკადემიურ პერსონალს; ადმინისტრატორს; მთავარ ადმინისტრატორს.
ამ ადამიანებს სჭირდებათ ავტორიზაცია ამ სისტემაზე წვდომისთვის, რაც ხორციელდება მომხმარებლის სახელისა და პაროლის საშუალებით. სისტემას, მათი სტატუსის (როლის) შესაბამისად, აქვს სხვადასხვა უფლებები და წვდომა.
რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებით რაიმე დაბრკოლების ან შეცდომის შემთხვევაში, პირს შეუძლია მიმართოს უნივერსიტეტის IT მენეჯერს, რომელიც ვალდებულია დაინტერესებულ პირს გაუწიოს შესაბამისი დახმარება, მოკლე დროში.

სწავლის მართვის სისტემაში ავტორიზაციის საშუალებით, სტუდენტს აქვს წვდომა სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციაზე და შეუძლია მასში მონაწილეობის მიღება. სტუდენტებს წვდომა აქვთ შემდეგზე:

- უნივერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სასწავლო კურსები და დამატებითი ინფორმაცია (სილაბუსი, კრედიტის რაოდენობა), ლექტორების მიერ სასწავლო კურსის ფარგლებში ატვირთული ელექტრონული სასწავლო რესურსების ჩამოტვირთვა; მიმდინარე სემესტრის სასწავლო ცხრილი;
- GPA ქულა და ა.შ.
- ასევე ფუნქცია - "წერა" და "შეტყობინებების გაგზავნა უნივერსიტეტის ადმინისტრაციულ თანამდებობებზე მყოფ ადამიანებთან" - ცოტა ხნის წინ დაემატა სისტემას.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი გეგმავს გამოიყენოს "Google Meet" ონლაინ საკლასო ოთახებისთვის, თუმცა, რადგან ჯერ სტუდენტთა კონტიგენტი არ არის ჩარიცხული, მისი ტესტირება ვერ მოხერხდა, იმის სანახავად, თუ რამდენად საკმარისი მისი ფუნქციონირება სამედიცინო განათლების საკლასო ოთახებისთვის.

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტს აქვს თავისი ვებგვერდი, ქართულ და ინგლისურ ენებზეhttp://www.kwiu.edu.ge/lmsდა გთავაზობთ ყველა მნიშვნელოვან ინფორმაციას უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროგრამების შესახებ. ახალი ამბები, ღონისძიებები და განცხადებები მუდმივად ახლდება და განთავსდება ვებგვერდზე. ვებგვერდიდან სტუდენტებს წვდომა აქვთ საკუთარ სტუდენტურ პორტალზე, სადაც დეტალურად შეუძლიათ ნახონ მათი შეფასება.

უნივერსიტეტი იყენებს როგორც შიდა, ასევე გარე სერვერებს, რომლებიც, როგორც ჩანს, საიმედოა.
ელექტრონულად არსებული ინფორმაციისა და სხვა ელექტრონული რესურსების მდგრადობა უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების პოლიტიკის მნიშვნელოვანი ნაწილია. სარეზერვო ასლები გამოიყენება გაუთვალისწინებელი პრობლემების და უბედური შემთხვევების შემთხვევაში, ინფორმაციის დაკარგვის თავიდან ასაცილებლად და აღდგენის შესაძლებლობის მისაღებად. უნივერსიტეტის IT მენეჯერი ზრუნავს თანამედროვე და ინოვაციური ტექნოლოგიების მოძიებაზე და განთავსებაზე.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ადგილზე ვიზიტი;
- ინტერვიუები IT პერსონალთან;
- ვებგვერდი;
- უნივერსიტეტის საინფორმაციო ტექნოლოგიების მართვის პოლიტიკა და პროცედურები;
- სწავლის პროცესის ელექტრონული მართვის სისტემა;
- უნივერსიტეტის საინვენტარო მასალები.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- რადგანაც კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტი აპირებს გამოიყენოს "Google Meet"-ი ონლაინ საკლასო ოთახებისათვის, მისი ტესტირება იმის სანახავად, თუ რამდენად კარგად ფუნქციონირებს სამედიცინო განათლების საკლასო ოთახებში სხვადასხვა ადგილზე განლაგებულნი ბევრი სტუდენტისათვის, ვერ მოხერხდა. გამოცდილი და შემოწმებული პლატფორმის (მაგ.Blackboard) გამოყენება სარეზერვო ვარიანტად შესაძლოა ღირდეს გასათვალისწინებელად, ონლაინ სწავლების ტექნოლოგიაშისაიმედოობისა და სტაბილურობის მნიშვნელობის გათვალისწინებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

- სწავლის მართვის ელექტრონული სისტემა, როგორც ჩანს, ძალიან კარგად შემუშავებული ვირტუალური ე.წ. "ერთი გაჩერების" პორტალია, სადაც სტუდენტებს შეუძლიათ ჰქონდეთ წვდომა საკუთარ მონაცემებზე, ასევე საგანმანათლებლო მასალებსა და საკომუნიკაციო ვარიანტებზე.

**შეფასება**

გთხოვთ, მონიშნოთ უჯრედი, რომელიც ყველაზე უკეთ აღწერს თქვენს პოზიციას სტანდარტის ამ კომპონენტის მიმართ პროგრამის შესაბამისობასთან დაკავშირებით.

☒ სრულ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 7.4 ფინანსური რესურსები

- უსდ-ის ბიუჯეტით გათვალისწინებულიფინანსური რესურსების გამოყოფა ეკონომიკურად შესაძლებელია.
- უსდ-ს ფინანსური მდგომარეობა უზრუნველყოფს სტრატეგიული და შუალედური სამოქმედო გეგმების ფარგლებში აღწერილი საქმიანობების შესრულებას.
- უსდ-ს ფინანსური რესურსები ფოკუსირებულია დაწესებულების ძირითადი აქტივობების ეფექტურ შესრულებაზე.
- უსდ-ის ბიუჯეტში გათვალისწინებულია სამეცნიეროკვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირების/განვითარების დაფინანსება.
- უსდ-ს გააჩნია ანგარიშგების, ფინანსური მართვისა და კონტროლის ეფექტური სისტემა.

**სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

კენ ვოლკერის საერთაშორისო უნივერსიტეტის არსებული ფინანსური მდგომარეობა, მისი მართვის მოდელში გათვალისწინებული ფინანსური პროცესების რეგულირება უზრუნველყოფს უნივერსიტეტის სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას.

უნივერსიტეტმა შეიმუშავა საპროგნოზო ბიუჯეტი რამდენიმე წლისთვის და ის წლიდან წლამდე იზრდება სტუდენტთა რაოდენობის ზრდასთან ერთად. ასევე, ბიუჯეტი ორიენტირებულია უნივერსიტეტის ფინანსური რესურსის გამოყენებაზე, ეფექტურად განმახორციელებელი ორგანიზაციის ძირითადი საქმიანობის უზრუნველსაყოფად. დოკუმენტების მიხედვით, მომავალი

წლის ბიუჯეტი შეიძლება დამოკიდებული იყოს სტომატოლოგიის პროგრამაზე. თუმცა, უნივერსიტეტის წარმომადგენლებმა წარმოადგინეს ინფორმაცია, რომ ყველა საკმარისი თანხა უკვე არსებობს 2021-22 წლების მისაღები სტუდენტების რაოდენობის მიუხედავად.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და ფინანსური განყოფილების ხელმძღვანელმა აღნიშნა, რომ ფინანსური სირთულეების შემთხვევაში არსებობს სარეზერვო გეგმა. აქციონერები მზად არიან შეიტანონ დამატებითი ხარჯი კაპიტალის გაზრდის მიზნით და უნივერსიტეტმა ამის დამადასტურებელი საბუთებიც წარმოადგინა. ასევე, უნივერსიტეტს აქვს შესაძლებლობა მიიღოს სესხი ფინანსური ინსტიტუტებისგან, ხარჯების დასაფარად, თუკი სტუდენტების მიღებაში ნაკლებობა იქნება.

სამეცნიერო კვლევებისა და ბიბლიოთეკის ფუნქციონირება-განვითარების დაფინანსება შედის უნივერსიტეტის საპროგნოზო ბიუჯეტში და წლიდან წლამდე იზრდება სტუდენტის მზარდ რაოდენობასთან ერთად.

**მტკიცებულელებები/ინდიკატორები**

- ინტერვიუ დამფუძნებლებთან;
- ინტერვიუ ფინანსურ დეპარტამენტთან;
- შპს კვსუ-ს ბიუჯეტი;
- შპს კვსუ-ს საბანკო ამონაწერი;
- შპს კვსუ-ს დამფუძნებელთა შეხვედრის ანგარიში ინვესტიციის შეტანის შესახებ;
- შპს კვსუ-ს  უნივერსიტეტის შინაგანაწესი;
- შპს კვსუ-ს საერთაშორისო უნივერსიტეტის ფინანსური მართვისა და კონტროლის სისტემის დანერგვის წესი;
- შპს კვსუ-ს ბიზნეს უწყვეტობის პროცესების გეგმა;
- შპს კვსუ-ს საერთაშორისო უნივერსიტეტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- სტუდენტური კონტრაქტის ნიმუში.

**რეკომენდაციები:**

არ არის

**რჩევები:**

- მიუხედავად იმისა, რომ ამ ეტაპზე სათანადო დაფინანსება არსებობს და ბიზნეს გეგმა ჩანს საიმედო, მედიცინისა და სტომატოლოგიის პროგრამების განმახორციელებელი უნივერსიტეტები იქცა ჩვეულებრივ ამბად და ამიტომ კვსუ-მ მიზანშეწონილია განიხილოს მისი შემოსავლის დივერსიფიკაცია მედიცინისა და სტომატოლოგიის გარდა სხვა პროგრამების შემუშავებით.

**საუკეთესო პრაქტიკა (ასეთის არსებობის შემთხვევაში):**

არ არის

**შეფასება**

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☒შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან